

სსოვრული
სემოვნება

№ 8 კვირეული ჟურნალი 1911 წ. 30 იან. № 8


შ ი ნ ა ა რ ს ი :

- 1) მეთაური
- 2) ფიქრები და შენიშვნები
- 3) *
* *
- 4) განდევილი, ინგილოური ლეგენდა
- 5) შორს არის სხივი გაზაფხულისა, ლექსი
- 6) მგზავრის სიმღერა, ლექსი
- 7) პართენონის ნანგრევებს შუა
- 8) გველი ვიყავ! ლექსი
- 9) ყორანი, მინიატიური
- 10) უვნებელი პეტარდები
- 11) ქართული თეატრი

- W.
 ვანო ბარველი.
 ზ. ედილი.
 ბ. ახოსპირელი
 ტ. ტაბიძე.
 დ. კასრაძე.
 ი. გრიშაშვილი,
 ტ. ტამიძე.
 გ. ა—ციხელი.
 არ. ავ—ინ.

დამატება: განწმენდის სასახლე დრ. პ. მოქ. შოთა დადიანი.

საქართველოს
საბჭოთაო



№ 8 კვირეული ჟურნალი 1911 წ. 30 იან. № 8


აგენტურა ძვირი ჯდება, გთხოვთ ჟურნალი წლიურათ (5 მან. შეიძლება ათ-ათ შურობით შემოტანა) გადმოწერათ. თუ ჟურნალი რაიმე მიზეზის გამო დაიკეტა. ხვედრი ფული ხელის მომწერთ უსათუოდ უკანვე დაუბრუნდებათ.


35

ტფილისი, 30 იანვარი.

26 იანვარს ქართული ეკლესია დღესასწაულობს დავით აღმაშენებლის ხსენებას. ამ დიდებული მეფის პიროვნება იმდენათ სხივმოსილი და ბრწყინვალეა, იმდენათ დიდია მისი ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში, რომ ამ დღის ასე უმნიშვნელოთ ჩატარება არ უნდა გვეპატიებოდეს. ყოველი კულტურული ქვეყანა დიდს პატივსა სცემს თავის დიდებულთ, მეფეა ეს თუ მწერალი, და წელიწადში ერთხელ აღნიშნავს ხალხმე მის დიადს ღვაწლსა და შრომას. ამისათვის შესაფერი საზოგადოება ან დაწესებულება ჰმართავს საღამოს ან დილას ლიტერატურული თუ მეცნიერული ხასიათისას და საზოგადოებას აგონებს და აცნობს ამა თუ იმ მოღვაწის მნიშვნელობას

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც ამ მაგალითს მივბაძვდეთ, კარგი იქნებოდა, რომ ისტორიულ საზოგადოებას ეკისრა ეს და პატარა რამ გაემართა ამ დიდებული მეფის და აღმაშენებლის ცხოვრების და მოღვაწეობის აღსანიშნავათ. მით უფრო საჭიროა ეს, რომ ჩვენი საზოგადოების მომეტებული ნაწილი რაღაცა ინდიფერენტიზმით უცქერის ჩვენს წარსულს და ხალხის გონებაში კი ჩვენი ცხოვრების დიადი მონენტების აღბეჭვდა არამც თუ სასურველი, აუცილებელი საჭიროებაცაა. მაგრამ განა ჩვენში ყოველს ამათის შემთხვევას ჯეროვანი ყურადღება ექცევა? ევროპაში ბევრი მეცნიერი და პოეტი ნიერი დაინტერესდა ჩვენი ისტორიით, ლამაზი, მდიდარი ენით, ლიტერატურით.





ბევრმა შეისწავლა ჩვენი ენა და ახლაც კავშირს არ სწყვეტენ ჩვენს ლიტერატურასთან. ყველა ქართველმა იცის და ძმა უარდრობების შრომა და ღვაწლი ჩვენი ენისადმი. ინგლისელებმა შეისწავლეს ჩვენი ენა და ჩვენ კი... გასაციხია... ვიფიქრებთ. ამისი მაგალითი თვით ბ. უარდრობის პატივსაცემთ გამართულ ბანკეტზედ მოხდა. ჩვენი ორი კულტურული დაწესებულებათა, წერა-კითხვის და ისტორიულ საზოგადოებების გამგეობამ დააფასა ბ. უარდრობის ღვაწლი და ადრესი უძღვნა. ყოველს ექვს გარეშეა, რომ იმ ადამიანს, რომელმაც ჩვენს ენას

ამდენი რამ შესძინა, შეისწავლა ჩვენი ენა, —ადრესიც ჩვენსავე ენაზე უნდა მივითმევიყო, მაგრამ... მიზეზი ვერც კი გვიბოვია, ადრესი სახელმწიფო ენაზედ წაუკითხეს და ამ ორივე საზოგადოების გამგეობა კი ტაშის ცემით შეხვდა ამ ფაქტს. ვინ უნდა ზრუნავდეს ჩვენს კულტურაზე, თუ არ ეს ჩვენი საიშედო საზოგადოებანი? და როცა ამ ნაირს შეცდომას ხედავს კაცი მათს მოქმედებაშიც—ძალა უნებურად თავის თავს კითხვას აძლევს, განა შეიძლება რამე იმედი იქონიოს ადამიანმა ჩვენს გამოკულტურებაზედ?

ფიქრები და შენიშვნები.

თეატრის და სცენის შესახებ.

W.

IV.

ყველამ უწყის რა არის თეატრი, მაგრამ ბევრმა არ იცის თუ როგორი უნდა იყოს იგი.

თეატრს, როგორც ყოველს კაცს და პიროვნებას, უსათუოდ უნდა ჰქონდეს თავისი სახე, თავისი ფიზიონომია—გამომეტყველება.

თეატრს, როგორც ყოველს ინდივიდუმს, უნდა ეტყობოდეს თავისებურობა; უნდა იცოდეს თუ რა გააკეთოს და რა სთქვას. კაცი როცა მიდის, უნდა იცოდეს თუ სად მიდის, რისთვის მიდის. აგრეთვე თეატრმაც უნდა იცოდეს რადა და რისთვის მოქმედებს, სად მიისწრაფის.

როცა თეატრს გათვალისწინებულნი აქვს თივის მოქმედების სარბიელი, როცა გამორკვეული აქვს მოქმედების საგანი, იგი უკვე შესაფერ გზასა და საშუალებას პოულობს მიზნის მისაღწევად და ამ შემთხვევაში მას უკვე თავისი სახე, თავისი ფიზიონომია—სულიერ—ფიზიკური გამომეტყველება აქვს.


უეჭველია, ჩვენის თეატრის მეთვალყურეთ

და მისი ბედ—იღბლის გულშემატკივართ არა ერთხელ შეუუმჩნევიათ, რომ ზოგჯერ თეატრის საქმე ჩინებულად მიდის და ზოგჯერ კი ძალზე კოჭლობს, მიუხედავად იმისა, რომ დასიც მრავალ ფეროვანი ყოფილა და რეპერტუარიც საინტერესო და ახალი.

ასეთს მეტნაკლებობას, ასეთს წინ უკუქეკებას ჩვენის თეატრისას ბევრნი თავისებურად ხსნიან და განმარტავენ ხოლმე, მაგრამ პირადად მე მაგის მთავარ მიზეზს ყოველთვის იმაში ვხედავდი, რომ ჩვენი თეატრალური სეზონები უფრო მეტს შემთხვევაში მოკლებულნი იყვნენ ხოლმე თავისებურ სახეს და ფიზიონომიას—გამომეტყველებას.

მშვენიერი დასი და რეპერტუარი, წარმოდგენების მწყობრი მართვა და გარჯილობა ჯერ კიდევ არ მოწმობს საქმის დაწინაურებას. მაგრე დაყენებული საქმის ბოლო სამკალი ხშირად სამწუხარო და საზარალო ყოფილა და არის.

თეატრი ყოველთვის იმად უნდა იყვეს,



რადაც სურს რომ იქნეს და ყოველ შემთხვევაში უნდა გრძნობდეს მუდვი მანც, თუ რასურს რა სწადიან და როგორი უნდა იყოს. თეატრმა არამც და არამც არ უნდა დაკარგოს ის გასაღები, რომელიც მას კარს გაუხსნის წინ განზრახული მიზნისკენ.


სახის მექანე თეატრი და არა ორქოფი და მორატრატე—მობარბაცე, თავისავე სახეში პოულობს ძალას თვითმოქმედებისას და თუ ასეთ თეატრს რაიმე სათქმელი და გულის ნადები აქვს, მერწმუნეთ, იგი სავსებით იტყვის თავისას, იგი ადვილათ გამოერკვევა მის წინ წაყენებულ თემებში (რეპერტუარი) ფორმებსა ფერადებში (დასი)...

ვის მოუვა აზრად—მწერალს წერა ასწავლოს და მხატვარს—ხატვა; ორთავენი თუ კი გულში სათქმელი დაებადებათ რა, ამეტყველებიან—პირველი დასწერს მეორე დახატავს.

ოღონდ კი ხელოვანებს და მხატვრებს თავისებურობა ეტყობოდეთ, ოღონდ კი გულის ნადები ჰქონდეთ, გჯეროდეთ ისინი ათას ფერადებს და ცხოველ სიტყვებს იპოვნიან თავიანთი შემოქმედებითი თავისებურობისათვის, თავიანთი საწადლის მისაღწევად.

ასეთივეა თეატრიც. თუ მას სახე აქვს—თავისებური მეტყველება, იგი გულის ნადებს გამოაჩვენებს და ძალაუნებურად მსმენელთაც ყურს დააგდებინებს, მათს სულსა და გულს მოინადირებს.

ყოველს თეატრს უსათუოდ სახე უნდა ჰქონდეს და თავისებური ნიშან-წყალი უნდა ემჩნეოდეს.



* * *

(გუქდენა ნუცა ჩხეიძეს.)

ვანო ბარველი.

ცრემლი!
 ცრემლი მდულარე, ცრემლი მწვავი,
 გულ მოსაკლავი.

ცრემლი!
 ცრემლი სიცილის, სიმხიარულის
 და სიხარულის!
 არსებითაც ორე ერთია.
 მაგრამ...

ოო, მაგრამ განსხვავება რა რიგ მოსჩანს ცრემლთა ბრუნვაში!
 ერთი სტირის, სწუხს, იტანჯება.
 რომ ქვეყნიური სივალახე და სიღუბი-
 რე განბანოს თვისი ქუქყისა და ჯონ-მო-
 რვეისგან!


მეორე კი...
 სიხარულით, სიცილით და სიმხიარულით
 სწმენდ ამ ქვეყნიურ სიბილწეს და ღვარ-
 ძლიანობას.

მწუხარების ცრემლთა დენაში გამოსქვი-
 ვის ამადლებულ სიწმინდისა გრძნობათა
 ღელვა და ცრემლ მორეულ სიცილშია—
 ადამიანის აზროვნობის გაფოლადება!

ცრემლი მდულარე, ცრემლი მწვავი,
 გულ მოსაკლავი...

ცრემლი სიცილის, სიხარულის,
 სიმხიარულის...

ორივე ცრემლია!



განდებელი.

ინგილ ოური ლეგენდა.

ზ. ედილი.

შორს, კავკასიონის მთაგრეხილის ერთ მაღალ ფერდობზედ არწივის ბუდესავით შეკვვრია თითქოს ცის ტატნობში გაჩერებული პატარა კოშკი. ის სალ-პიტალო კლდე, რომელსაც ეს კოშკი შეკედლებია სახტად არის აღმართული თვალ-უწვდენელს მთაგრეხილთა შორის და აღმასივით კრიალა გიჟმაჟი მდინარე ახჩაი მოუთამაშებს. მთელი საუკუნოები ეს დაუდევარი მდინარე ებრძვის, იერიში მიაქვს, ზედასკდება კოშკის მთაგრეხილს, მაგრამ მთლად აქაფებული და ნაპერწყლად ქცეული უკანვე ბრუნდება და ძირს უფსკრულში ღრილი ჩააქვს. დაუდევარია ახჩაი, ვერც მთის ბუმბერაზობა, ვერც გაქვარკინებული მთა

ვერ აშინებს მას, შეუსვენებლივ უვლის ირგვლივ კოშკის პიტალო კლდეს, თითქოს ეუბნება: „მე ჩემსას არ დავიშლი, ვიბრძოლებ, ვიომებ შეუპოვრად ერთხელაც იქნება დაგძლეე კოშკო, გამოუთხრი ძირს მაგ კლდეს და მასთან ერთად ჩემს წყვილადში ჩავნთქამ, გაგაქრობ, და დავიწყებას მიგცემ.“ კოშკი კი მდუმარებს, ამაყად მდიდურად გამოიცქობება და ყურსაც არ იბერტყავს ახჩაის ღრიალსა და ქუხილზედ, მშვენებია და მიმზიდველი მთლად ეს სურათი, გიჟმაჟი, დაუდგარი მდინარე და ამაყი თავმომწონე კოშკი.

შორს, წყვილიადით მოცულს წარსულში აქა სცხოვრობდა ვინმე განდევილი ადამიანი თავისის ცოლით, რომელიც მოშორებოდა ამაოებით და ბიწიერებით სავსე წუთი სოფელს, იგი ანგელოზებრივ მშვიდა, წყნარი და უმწიკვლო იყო. პატარაობიდანვე ეძებდა ქვეყნად სიმართლეს და სათნოებას, მაგრამ ვერსად ჰპოვა იგი. ყველგან, სადაც წავიდა, ბოროტებასა, შურსა და მტრობას ჰხედავდა კაცთა შორის. თვით მონა პორჩილი დიდისა და პატარასი, იგი ვერსად ვერა ჰპოვებდა მყუდროებასა და სასურველს ცხოვრებას. შესძავდა სოფელი, შეზიზღდა კაცთა შორის ცხოვრება, მისი სპეტაკი გული ვეღარ იტანდა კაცთა ბიწიერების ცქერას და განშორდა სოფელს. განშორდა, მოსცილდა სოფელს, მის არარობას და მაცდურობას და შორს აი ამ კოშკსა და მთა კლდეთა წიაღს მი-აშურა. აქ ამ უღრან კაცისაგან ხელ-შეუხებელ მთაკლდეთა და ტყე-მცენარეთა შორის ჰპოვა ნეტარი მყუდროება და მშვიდი ცხოვრება. ცოლის აღერსი მას სულსა და გულს უტკობდა, მშვენებრი სუფთა ჰაერი და ახჩაის ანკარა წყალი მას ძალასა და ღონეს ჰმატებდა, ნადირის ხორცი კიდევ, რომელიც აუარებელი იყო ხეობაში, მასა ჰკვებავდა.

დიდხანს ცხოვრობდა განდევილი ადამიანთა და ხალხთა განშორებით, შეეჩვია მთასა და მის ცხოვრებას. მთა ფიანდაზად უშლიდა თავისს გულ-მკერდს და უმას-

პინძლდებოდა რითაც კი შეეძლო. განდევილი დიად, ბუმბერაზ ბუნების შეიქმნა განუყრელ კუთვნილებათ გარდაცემი მოხიბლა და შეიმკვლევიანა მთასა და განდევილს უერთმანეთოთ გაძლება არ შეეძლოთ, მთის სტუმართ-მოყვარეობამ, სიკეკლუცემ და მიმზიდველობამ მთლად შეიპყრო და შთანთქა. ყველაფერს მიხვდა და შეისწავლა მთისა განდევილმა, ბალახთ შრიალი, ტყის ზუზუნნი, ნადირთ ხმაურობა და ენა ეყურებოდა და ესმოდა. მთელი გულისყური ისე შეაჩვია მთასა და მის გარემოს, რომ აქ ცხოვრება მის უმწიკვლო და სპეტაკ გულს მეტად შორს იტაცებდა და სამოთხედ აჩვენებდა იქაურობას. რამდენადაც უფრო აჩვენდა გულისყურს მთასა, იმდენათ უფრო შორდებოდა ადამიანთა, შორს დიდ მანძილზედაც აღარ უნდოდა დაენახა კაცი და იგრძნობდა თუ არა სადმე მათ სიახლოვეს, მყისვე შურდულივით მოსწყდებოდა იმ ადგილს და კოშკს აფარებდა თავს.

ასეთს მყუდრო ცხოვრებაში იყო განდევილი. ჩქარა ცოლმა ბედნიერება და სიხარული უფრო გაუორკვეცა. — თავის განდევილს ქმარს ვაჟი შვილი აჩუქა. განდევილი ეხლა ხომ სულ ცას დაეწია, თავი უმაღლეს ბედნიერად ჩასთვალა, მთამაც ვაუცინა, გაულმა და გულში ჩაიკრა. განდევილი ეხლა სულ ბავშვის აღზრდის მცადინეობაში იყო, მას შესცქეროდა, მას დასტრიალებდა თავს და სულ ცოტახლობით თუ განშორდებოდა საქმელის საშოვნელად და ნადირის მოსაკლავად.

ასეთ ბედნიერებაში და კმაყოფილებაში იყო განდევილი. მაგდამ დიდი ხანია თვალში ჰქონდა ამოდებული იგი კაცთა ბოროტებას. ბარად, სოფელში ხალხი უკმაყოფილებას აცხადებდა და ჯავრობდა:

— რათ წავიდა, რათ გაგვშორდა, რატომ ჩვენთან ერთ უღელში არ აბია და ქირსა და ვარამს ჩვენთან ერთად არ იყოფს, ამბობდენ ერთნი.

— არ გვკადრულობს, გაამაყდა, მედიდური შეიქმნა, იუკადრისა ჩვენთან ცხო-



ვრება, გაიძახოდნენ ბოროტნი ენები და ეძებდნენ მასთან შეხვედრასა და გასწორებას.

განდევილი ფხიზლად იყო. ყოველთვის იგებდა მათ მოახლოვებას და შურდულივით სხლტებოდა და კოშკს მოაშურებდა. მაგრამ რამდენათაც განდევილი ხელუხლებელი იყო, იმდენად ბოროტება ხალხისა იზრდებოდა და ორკეცდებოდა. ბოროტთ დაადგინეს მისი მოკვლა და შემდეგს ხერხს მიჰმართეს. გაგებულნი ჰქონდათ, რომ განდევილი ხშირად სანადიროდ დაიარებოდა ირმებზედ. ამიტომ ვირი მორთეს, გაუკეთეს ირმის რქები, გადააკრეს ირმისავე ტყავი და იქით გაუშვეს სადაც მონადირე დადიოდა, ხოლო მის სიახლოვეს კაცი თოფით ჩაუსაფრდა.

მშვენიერი დილა იყო. განდევილი თავისი ცოლით და ფუნთუშა ვაჟიშვილით, რომელსაც თავს ევლებოდნენ ცოლ-ქმარნი, კოშკის ბაქანზე გამოსულიყვნენ. ნეტარ ბედნიერებას ეძლეოდნენ ცოლ-ქმარნი, მთის მწვერვალებიდან წამოსული ნაზი ნიაფი მათ უაღერსებდა და კოშკიდან თვალ-წარმტაცი გადასახედი კიდეც მათ გრძნობას იზიდავდა, ჰხიბლავდა და ერთი ორად უფრო უტკბობდა საწუთროს, ვინ იცოდა თუ ამ დროს, როცა ეს სამი უწყინარი, ღვთისნიერი არსება ასე სტკბებოდა სამყაროს სიდიადით, ძირს ცოტა მოშორებით ბოროტი ადამიანი მათ სახეს უგებდა და ბედნიერებას სტაცებდა.

დროა, სთქვა ბოლოს განდევილმა, ეხლა უნდა სანადიროთ წავიდე. და ამ სიტყვებთან ერთათ კოშკში შევიდა, თოფი

გადააგლო მხარზედ და გზას გუდგუდუნო ცოლმა თვალი გააყოლა. გიშინდნენ ძირს, ძირს მიდიოდა. ის ადგილი სადაც ირმები იცოდა და სადაც განდევილს უნდა ენადირნა ხელის გულსავით მოსჩანდა კოშკიდან. ცოლი მაღლიდან თვალყურს ადევნებდა ქმარს და სულ იქითკენ გაიქირებოდა. უცებ თოფმა იგრიალა და ირმის ტყავში გამოწყობილი ვირი, რომელიც მდინარის ნაპირს დახეტიალებდა და განდევილს ვერ ეცნო, უსულოდ დაეცა. განდევილი გაეჩანა იქითკენ, მაგრამ ამ დროს მეორე თოფმაც იგრიალა და განდევილი სულგაფრთხობილი წყლის პირსავე დაეცა და ანკარა ახჩაი წითლად შეიღება.

ჯოჯოხეთის გენია დატრიალდა ქალის გულში. მის თვალწინ ბოროტმა ადამიანმა სიცოცხლეს გამოასალმა მისი სიცოცხლე, მისი სულის დგმა, ქალმა იკივლა: „კაცი მოკვდეს, ქალი დარჩეს, ობოლს როგორ უბატრონოს“ და კლდიდან გადაეშვა ბავშვიანათ. ახჩის სპეტაკმა ტალღებმა ჩანთქეს ისიც და სამთავე განდევილს სამარე გაუთხარეს მისმა ნაპირებმა.

მთამ ცრემლები გადმოჰჰყარა, ნაზმა სიომ წრიბინი მორთო, ბოროტი მკვლეელი კი კმაყოფილებით აღვისილი სოფლისაკენ დაეშვა.

მას შემდეგ მთა კვენისის, სტირის და ღამ-ღამობით იმ კოშკის სიახლოვეს არა ჩვეულებრივი ზმუილი გაუდის. ხალხს ეშინიან ტილად დარჩენილს კოშკისა და ახლოს არ ეკარება.

შორს არის სხივი გაზაფხულისა!..

ბ. ახოსპირელი.

კვლავ აირივნენ შავი ღრუბლები...
კვლად ნისლით ვარ გარემოკული!..
დარი არ დარობს, გული არ ხარობს
და ტანჯვის ცეცხლზე ქვითინებს სული!..

რისთვის ჩაჰქერი, ტკბილო ოცნებავ,
არწივას ფრთით რომ დაჰქროდი ცაზე!..

რისთვის დაღამდი, დღისა შვენებაჲ, —
განთიადისას, დილის რიერაზე!..

მაგრამ ჩუ! თითქოს მოჰქრის გრივალი
მაუწყებელი გაზაფხულისა..

გაჰკივის: „ჩქარა აყვავდებაო


ტურფა ყვავილი მოკლულ გულისა!..“

არა, ოცნება, ეს ოცნებაა...

ოცნებით სტკება კვნესა სულისა!..

დარი არ დარობს, გული არ ხარობს...

შორს არის სხივი გაზაფხულისა!..



ბუხების წიღზე

მ გ ზ ა ვ რ ი ს ს ი მ ლ ე რ ა .

სანქცია.

ტ. ტაბიძე.

ცოდვის საკანეს დაფორდი სოფელს
სული მშვიდობას უდაბნოთ ეძებს,
მაგრამ თანმსრბოლსა კაეშან-ნადველს,
ვაკლახ! რომ სული ვერც აქ იშორებს..

ვით საღამანდრა სიყვარულის ცეცხლში ვიწვევი
მაგრამ ოხ! კიდევ რომ არ დავიწვი!

გულის სამღერა ხომ ვიმღერე, მაშ რად არ ვკვდები?
ცაჲ შენ გაფიცებ, შენ შემოგჩივი,

მაგრამ ვის ესმის მწირის გოდება

უდაბნოდ კრემლო ტყვილად იღვრება.

სოვლემს ცა მდუმარე.. ქვეყანას სძინავს,

სატრფო შორს არის, სატრფო ნადველი;

უფრო ის მტანჯავს, რომ მისი კრემლი

არ დაერტქვევა მის მგოსნის საფლავს.



პართენონის ნანგრევებს უშა

დ. კასრაძე

ა, პართენონი, სადაც წინად მაშვრალ-მწყურვალნი
სული ჰპოვებდა მცირეოდენს ნავთსაყუდარსა,
დღეს შიშვლად მხედება ტიალობდით შემოძარცული,
არარაობა ასხავს ყოველ მხრივ შავბნელ სუდარსა.
ღმერთები სდუმან, ორაკულნი არ ჰლადადებენ,
მუნჯნი ქურუმნი გუნდრუკს მათ წინ ახლა აკმევენ;
ქანდაკნი თოშის ლეშა ჰკვანან სულით ჩამქრალნი,
მგოსანთ სიმები დასწყვეტიათ—არ უყდერთ ქნარი.

ო ცაო, ცაო, ამ ტაძრის გუმბათს
ერთხელ მაფრენდი ქერუბიმთ ფრთებით,
და მაცნობებდი უცხო ქვეყანას
ეღვის მფრქვეველი ღრუბელთა ეტლით.
იმ დროს ხატება შენი ზეარსი
აღმამაღლებდა შენდა საქებრად,
და მწირი სოფლის, ცრემლის ტალკვესი,
შენში ვპოვებდი ნავს ფიქრსართველად!

ეხლა რაღას ვჭვრეტ? მხოლოდ ერთსა სიცარიელეს,
სხივი გუმბათით შენს ვარსკვლავთა არღა ციმციმებს,
უცნობის თვალით ვუმზერ კედლებს შიშვლად შთენილი,
მათში ვეღარ ვცნობ შენს საფარსა აღსავსეს მშვენივით
„სადაა, სადა შენს დიდების ძალა ან აზრი?“ —
რას ვკითხავ ნათელს, თვით არ უწყის, რა აქვს მიზანი;
არც ქარიშხალმა იცის რად სძრავ ქროლვით მთაბარსა,
არც თუ თვით ბნელმა, რატომ ჰმოსავს შავით ლაყღვარდსა!
ყოველი არსი, ვით ბრმა რამ ნაშთი,
არ სწყვეტს უგუნურსა მშფოთარე სრბოლას,
ო ცავ, — გვედრი, მხოლოდ ეს მარქვი,
რა მიზანი აქვს მათ არსებობას?
თვითო მათგანა უგუნურს ფერხულში,
რად ჰლაიმობს იღვას რაიმე წილი?
უცნობი უცნობ მხრის ხეტებაში
რად ილტვის განვლოს მეტი მანძილი?

ზევსო! ვინც მუდამ გარს ირტყავდი მგზნებარე ცეცხლსა,
სტირდე, აფრქვევდე ეღვის ნაცვლად უშრეტელ ცრემლსა,
ჰგოდებდეს ჰერა! სტირდენ შვილნი, შენნი ქურუმნი!
მუნჯო პირთიავ, თალხს იცვამდე, გეხშოდენ ყურნი!
ო, შენც სინას მთავ, სხივნი ცისა ბნელად შესცვალე!
დევა, დემონო, თქვენი იგლოვეთ ინდუსის მხარე:
ემმანუილიც ვერ აღგიდგენთ სულის გაზაფხულს,
ვერვინ ავინთობთ ამაობით ჩამქრალს ქრანის სულს!

ო, თქვენ, ვინც კი რომ ძველად თუ ახლად
 ღმერთებად აჩნდით კაცობრიობას,
 იგლოვდით თავსა, იგლოვდით მარად,
 რომ აზრი არ აქვს თქვენს არსებობას!
 მსოფლიოს სული უგნური ბრძოლით
 თქვენში ეძებდა რწმენის ყავარჯენს,
 თქვენც მათ მზგავსად თურმე არ უწყით,
 ვინ ხართ, ან ვისგან მოვლით სასჯელს!

ა, პართენონი, სადაც წინად მაშვრალ-მწყურვალი
 სული ჰპოვებდა სასოების ნავთ-საყუდარსა,
 დამნაყოფ კედლით მდუმარედ სდგას შემოძარცული,
 სიცარიელეს უშლის წიადს ძველ ღმერთთ სადგურსა!
 ა, ზევსის ღეში! იქ ენსხვრევა ციტრა აპოლონს!
 მინერვაც მწყრალოდ ძირს დაჰყურებს ცივად მდგარს თვის კოტს!
 პალადას ფარი დანსხვრევა, თვით კუბიდონსა
 არ ძალუძს შვილდი მარჯვედ სტყორცნოს ცის კაპადონსა!

ო, ცაო, ცაო! მარტვი ჩვენ ცოდვილთ
 რაღას გვიტოვებ სანუგეშებლად?
 რატომ გვამგზავსებ არ არსთა აჩრდილთ,
 ვინც ვჩნდებით წამით და ვქრებით მარად?
 არც სიყვარული, არც რამე სხივი
 ოქროს ტახტრევნით იმედს არ გვიშლის,-
 ოჰ, გულს რარიგად იცავს ეს ბნელი!
 ოჰ, რა უკვალოდ მიწად გვტოქავს და გვშლის!



მწუხრად შევყურებ შიშველ კედლებს პართენონისას,
 დახშულს ღუმელში ვკითხულობ ბედს ამაოებისას,
 სისხლის ცრემლები მკვივა მხოლოდ სანუგეშებლად,
 რომ ძირს ჩავსვენდე სამუდამო განსასვენებლად!
 ანუ რაღა რჩეს დასანანი ჩემს უდაბურს გულს?
 თვით აფსოლიტაც ცისკრის სხივებს არღა მოაფრქვევს,
 ამაო ჟამი მკერდზე უქრობს თოვლის თეთრს ძუძუს,
 ჰქრება სიტურფე, რაც მასხავდა ყრმას ოცნების ფრთებს!



გ ვ ე ლ ი კ ი ყ ა ვ !

ი. გრიშაშვილი.

გველი ვიყავ, დიახ გველი
 სიყვარულის შხაძით სავსე,
 დღეს კი ჰხედავ! შენის რჩევით
 საფლავის ჩონჩხს დავემგზავსე...
 ეჰ, ვინ მოსთვლის შენზე ფიქრით
 თუ რავედენჯერ ცრემლი ვღვარე...
 რას მერჩოდნი? რა მინდოდა?
 რისთვის, რისთვის შეგიყვარე?



ორი ტიკანი.


ლიტერატურული შენიშვნე ი.

იბ. ვართაგავა.

ჩვენში ბევრი ზოეტობს, ბევრი კა თეატრობს გაზოეტობს. გადათვალაურეთ ჩვენა ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთები, და თქვენ გაგაგვირგვით რაცხევი ახალ მოფენილ „ზოეტობას“. თქვენ შათ დაითვლით ახლობით, თათქმის ორასობით...

ბედნიერებია-ო, თეატრებს ვარეშე მყოურებულა მუხობული და შეენარებუა ჩვენა ქვეყნის მოღაინად გაზარანსება და მუხათა ვამეფებ! „ცა — ფარუს, ხმელეთ-სურმუსტა“

ქვეყანა, გაუეღვეს მას გუდში, და რა გასაკვირველია, რომ ეს ტურფა, ზატარძლანავით მართულ-მონაგვრდებული საქართველო ვარდაიქეს ზოეზის აგვანად, ჩუქრობელ კერად მისა მგრძობობარე, მკვირცხლ შეიღებოსათვის; თვით რუსეთის უძლიერესი ზოეტობის — ზუშკინის და ლერმონტოვის — მუხა აქ გაიფურჩქნა, აქ შეიმკა ზოეტურის სმკაულოთ, აქ ააფურა „ტიბალ“ სიმღერისათვის თვისი ჩანგია... ნეტავი მაგრე აფას! ჩვენს ბედს მამინ ძღლიც არ დაჰქეიდა! სმწუნაროდ ჩვენ, შინაურებს, სხვა სურათია გვეხატებს თვალ-წინ: ეს სურათი შერთადა და ვამოურგვეუღია: არც ერთი მისმა ცაცხლად სდებოს არ აცაცხლებს მას; ამ სურათზე ბევრა სვა დანატულია, მაგრამ თათქმის არც ერთსა



მთავრსე არ გამოისხვის აღმოფრენა, ახრთა ელვარება, გრძნობათა საღრმე—საწმინდე, დაუსრულებელ-მეუკავებელი მისწრაფება, ნდობა, სურვილი. ისინი რაღაც დაუსრულებელ-დაუმთავრებელი არსებობა არიან; ზოგს აკლია სიძინა, ზოგს თვალთა-ხედვა, ზოგს მიხედუ-რება გრძნობა, ზოგს დაცარიელება თავი, ზოგს დაზარალებ დაფაქნობა და რაღაცას ლუღ-ლუღებს, .. არსად სხვის ახრთა ვაჟკაცი, მოკლვარე თვალებით, მოძრა-მეტეველ ზირი-სხით, ნიჭის უტყუარი ბეჭდით მადლ შუღ-სე, მკვებარე ხმით, რომელიც შენის და ჭე-ქა-ქუხილას გრგვინვასავით გაისმის. სწავს და ამხნვრებს ბორბტებს, უსმართლობას, ახ და ღვთაებრავის სინაზ-სინანობით, ციურ ციურ ხმით გაისმის და მდამოდ ედებს მშ-ვრდით გულს, სულს!...

ჩვენი ასტორაკისებო ბედში სჯაროველთა გვირთა ავლდამს ეძახის. ჩვენი მომავალი ნამდვილი კრიტიკოსი ვა, (თუ ვა ის ოდესმე დაგვბოდა) შენსამეტე სუჟუხეს სჯაროველთა ზოეტოს და სხვოგადთ მწერლობის მსურველთა ავლდამს უწოდებს. ამ ავლდამში, რასვერ-ჟულია, ცრუბენტელს და თავ-ცანცარა ზოეტო-თახ ერთად, არა ერთი და ორი ნიჭიც და-მარხულს და სუჟუხე განსვენება და და-ვიწეება უბრავია.


არა არის მიზეზი, რომ ჩვენში, ვისაც ვა წერა-კითხვა უსწავლია, ეველა ზოეტობას ხე-მობს, ლექსებს სწერს და მათთვის ჟურნალ-გაზეთებში ადგილს ქმნოვლობს? რითა უნდა ახსნას, რომ ჩვენში ნამდვილი ნიჭიც უცბად ქტრება, უძღურდება და უნიჭოთა გვერდით განსვენებას და დაფაქნობის ეძლევა სჯაროთ ავლდამში? ზირველი მოვლენის გაგება ადვი-ლია.

არის ერთი ხნა აღმობის ცხოვრებაში, როდესაც ის უმეტეს შემთხვევაში ზოეტობის გუხებაზე, როდესაც ლექსების წერას აწეებს, თავისი ვითომ და ზღვა და უმეტე გრძნობა-სურვილები გამოისხატად და გამოისმოდვანუ-ლად. ჭაბუკს ამ ხნაში თავი დიდ ზოეტად წარმოედგინოს, თავისი ზერელს და ცვალებადი გრძნობათა უთავბოლო გრავა მდლად აზრ-გრძნობათა უძირთა უფსკრულად დაუსხავს

ამიტომ მას სურს თვისი „ზოეტური“ ხაზ-მოხუტი გამოაქვეყნოს და მით ეტყვიან და განებრავდ სწავლ-სისამოფნის შემთხვეულს.

თუ ასეთი „ზოეტობისაგან“ შემდგარი ურ-დო მიესა რთმედიმე ერის ჟურნალ-გაზე-თობას და წინ წინააღმდეგობა არ შეხვდა, ზირიქით ხელგაძლით დახვდეს მასმისხლები, მამის აირევა მინასტერი და ძალი ზეტრისს ვერ იცნობს: მწეობრ, წარმტაც სირინაზის და ბუღბუღის სტეხა-გალობის ნაცვლად მო-ედება ქვეუხას უვათა ხხავალი, მკელთა ემუი-ლი, ძალითა წკმუტუნა, ხართა ბდავილი. ჩვენი რედაქციებო ქართველურ გულ უხვობით და სტუმართ-მოვეარებით უხვდებიან ასეთ ზოეტოს ურდოს და, ნაცვლად იმისა, რომ მათი ხაწვალები ლექსები ნავვის გოდორში ჩასვენენ, ჩამარხენ, ჟურნალ-გაზეთებში გა-მისწიმავენ ხლმე. ასეთი სჯაროვლით ჩვენი ჟურნალისტების მესვეურნი შებარდთ მტარ-ნი ამტკიცებენ არა თავის გულკეთილობას (ხელაფნების დაფასებაში გულკეთილობა რა მოსატანია?), არამედ კრიტიკულ ავლდს უქან-ლობას და ხელაფნების შეგებლობას.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ მთლად ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-ხელმძღვანე-ლებს არ დაესდომ ბრალი ამ სჯარეში. ან ვინ არ იცის, რომ შეიძლება ვინმე მშვენიე-რი რედაქტორ-გამომცემელი, ზეუბიცისტ-მე-ცნიერი იყოს და ამავე დროს სრულებით არ ქტანდეს ხელაფნების შეგება, კრიტიკული ავლდ და ზოეხას უბრდო შემაბრბობისაგან ვერ არხევედენ. რედაქციას უნდა ყავდეს შემო-კრებილი მთელი ჟგუფი სხვა-და-სხვა ლიტე-რატურულ დარგში დახელაფნებულ. გაწვოთ-ნილ თანამშრომლებისა, რომლებსაც უნდა ქტანდეს მინდობილი დაფასება ხაწარმოებისა. ამავე დროს ეს მუდმივი თანამშრომლები უნ-და აგრცელებდნენ სდს და განიერ აზრ-მესე-ლულობას თავის ორგანობაში მეცნიერულ, ას-ტორიულ და ხელაფნურ ხაწარმების შესახებ და მით გზას უნდა უხვეებდნენ ახლავაზს დამწეებ მწერლებს. ასეა დაეებთული ჟურნალ-გაზეთობა ეველა კულტურულ და განათლებულ ქვეუხებში. და ავი იქ სდულს და კადმოდის ლიტერატურული შრომა-მოდვასტობა და ბეჭ-




დათი სიტყვა გამხარავს სარკვე ცხოვრებისა! ჩვენს სსოციალიზმის გულ-გრაძობაში, უიდეალობაში, თვით-ცნობიერების უქონლობაში და ფუქსივაციაში მატერიალურათ დასუსტა, კადატკა, თათქმის მთხფრად განდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა. თათონ მძიერ-მწუერვადმა, ილაჯ-გაწვეუტილმა რედაქტორმა აბ რაგორ უნდა შემოვირბინოს ნიჭიერნი, განათლებულნი და მომხადებელი თანამშრომლებნი?! რათი უნდა უხდოს, მცირედ მანც, შრომის სავსანი, რომ მათ შესდლან თავისთავის ოჯახობას ცხოვრება ისე, როგორც შეუფერება კულტურულ ადამიანს?! არამც თუ სხვისი რჩება, ჩვენი ჟურნალ გაზეთების კამდელ-ხელმძღვანელი იძულებულია კორექტორად, უბრალო მთარგმნელ-სრინიკორად, თათქმის ნომრების დამტარებლათაც განდეს. ამ მხრივ ჩვენი თანამედროვე ჟურნალისტთაც არაფერი განსხვავება არ ეტყობა „ცისკართან“ შედარებით. ივ. კერესელიძის ბუდი დღესაც თან სდევს ყველს ჩვენ რედაქტორ-გამომცემელს. ნიჭი ჩვენ არ გვაქვია, მომხადებელი ზირებიც მოგვეტება, ბეგრსაც აქვს თავდაზირველად სურვილი სსოციალიზმის მადგაწეობას, კერძოთ მწერლობას მახმარონ ძალ-დონე, მაგრამ ზერსიკეტივს მძიერ-მწუერვად ცხოვრებისა აფრთხიან, გულს უტეხს, სსოწარვეუთილებში აკდებს მადგაწეოთა მომეტეუელ ნაწილს და სხვაგან, სხვა სიერაში ექებს სამსახურს, შრომას. სული ტუბილია, ცოლ-შვილის დამშევა ძხელია, კმაფთვალ ცხოვრების სურათი სსინათოთა წამტეუელია... გულის გაუტეხლობა, თავგანწირვა, თათქმის ზე-კაცობა გმირების თვისებაა და რადგანც გმირები ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა, მით უმეტეს ჩვენს უკუდმართად მორთულ ცხოვრებაში, ამისთავის გმირულ საქციელს ჩვენ ვერ მოვთხოვთ შუათანა ნიჭის მადგაწეო... ის ერი მიდის წინ, რომლის ინტელაგენტი ნორმალურ მდგომარებაშია, რადგანც ცხოვრება — ხელაფრების, მეცნიერების ახვითარების მორიგნი, შუათანა ნიჭის ზეტონი მუშაგნი.

კიდევ სსკვირველია დმერთმანი, რანაირად ბოგინობდნენ და ბოგინობენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და რანაირად არსებობს სუსტი, მაგ-

რამ არც ისე უმინარსო, ჩვენი მწერლობა? მართლაც რამ უნდა წააქეოს ჩვენი მწერლობა? რამ უნდა შთაბეროს მას ცუცხლი შედეგები? რამ უნდა ადოფროთოვანის მისი შემოქმედებითი კანტაზია? რამ უნდა ჰაეყვარონ მძიმე, შეუწვეუტელი და ჯან-დონის წამრთმევი ისტორიულ-ინვესტიური კვლევა-ძიება?! ჩვენებურმა ქველ-მოქმედებამ? ჩვენებურმა შრომის და მადგაწეობის დოვასიების უხარმა? ჩვენებურმა ხსნიათის სიმტერემ? გონების გამჭრავლობამ? ხხეობრევი სიოქაიხემ? ერავხულ თვათ ცნობიერებამ? მადგაწეობის შეკნებამ? იდეისთავის თავის განწირვამ? სმართლათსთავის წამებამ?! ან სხვა რამე რანდელმა საქციელმა?! არც ერთი აქ ჩამოთვლილი თავისებები არ ამშვენებენ ჩვენს სსოციალიზმს, და აკი ამისთავისა, რომ დავკანდით, დავძმუნდით, გადაგვარებისკენ მივადვართ, „მოწინავეს ჩამოვრჩით და უგანაზე წინა ვართ“. აკი ამისთავისა, რომ ჩვენ მომხადებელი, გაწვრთნილი და ახელავებელი მწერლები არ გვაყვან! ნაცვლად შეუწვეუტელ ლიტერატურულ შრომისა, ჩვენში ლიტერატურული „კასტრალიაობა“ გავრცელებული. დრო გამომშვიპით, ხსნდახსნ იდუის ხელში კალამს ჩვენებური „კასტრალიობა“ და რამე კერძო ან სსოციალიზმითისების შესახებ გამსწურავს თვისი სამსახურისაგან, დადლილ-მოქანცულ ტვინისაგან ორიოდ-სამიოდ ფელეტონს ან მოწინავე წერალებს და მერე მიეფარება ლიტერატურულ ცისკიდურზე რამდენიმე წლის განმადლობაში. ჩვენში იშვიათია მწერალი, „კასტრალიობა“ რომ არ იყოს; ჩვენში თათქმის არავინ არ არის ისეთი, რომ ზირდაზირ ლიტერატურას ემსახურებოდეს და მითი ცხოვრობდეს და სწორედ ამისთავისა, რომ ჩვენ არ გვაყვან ნამდვილი ჟურნალისტი, აკოდიტეტული კრიტიკოსი და მეცნიერულად მომხადებელი ისტორიკოსი, ახელავებელი, ცხოვრებაში ჩახელები და ხყოფიერი ბელეტრანსტი! ამ გარემოებითვე აისხება ისიც, რომ ჩვენში სოკლისავით მრავლდებს რიცხვი „ბეტეების“; რადგანც სსმავლებს და ლიტერატურული დონე არ გვაქვს ნიჭიერი უნიჭისაგან განვარჩიოთ, მსოფლოთ ნიჭს მივცეთ „ბეს ფარ-

...



თა“; უნაჭობა სთავადასუფი ხველათ და მალექსეობა მწერლობის აშლილი საღერდელი მთუძალათ. ამ გარემოებითვე აინსება ისიც, რომ ჩვენებური ნაჭეურნიც ნაჭს ვერ შლანს, ფხანს ვერ იხეჩენ; ჩქარა უქრებათ ალა აღმფრენისა; გონება კმობათ, უსუსტდებათ ლუკმა ზურისათვის ბრძოლაში, უსრო და... შრამა სამსხურში. ტალანტის ზრდა-განვითარების ნაცვლად, თან და თან უკან-უკან იწევენ და ბედას თათქმას მთლად ჭქრების მშობლიურ ლიტერატურას ცასკადურადან. გაეინსებთ დუტუ მეგრელა, ცახელა, ევლამგადა, ის ეკლასი, შიო არაგვისპარელა და ზოგეერთა სხვა ნიჭით დაჯილდფიებული ზოეტ-მწერლები. მათი ლიტერატურული გამოსვლა რიხინა, საცცხლით სავსე და საიმედოა. სხვა წრეში და სხვა საზოგადოებაში ისინი ღრმა კვლას დასტოვებდენ მშობლიურ ლიტერატურაში, ბევრს კარგ ხელფხურ ნაწარმოებს შექქებდენ... ჩვენში კი მათს ნაჭს, ზრდა-გაფურჩქნის ნაცვლად, თან დაუვა მადუნება: მათი ნაჭი არ დასრულებულა, არ გაძლიერებულია, წინსვლა-წარმატება არ დასტოვებია. უკანასკნელნი მათი ნაწარმოებნი დარსებით გარ-

ლებით დაბლა დგანან ზარეულ ხსნას ნაწარმოებთან შედარებით. ეს მათი ნაჭის მწიფობის ბრალა კი არ იყოს ან და ზირადდ შეგნებულად არ უარუევათ ზერგადმო მწოდება-ტალანტი. საზოგადო ცხოვრების მოწამლეულმა ატომსფერამ, ლუკმა ზურისთვის მწვაკმა ბრძოლაში, ხელმძღვანელ კრატეის და საზოგადოდ ავტორიტეტულ ლიტერატურულ წრას უქანლობამ და უიდეო გასტრადიორობამ შეჭაჭაქმის მთი მუხას ფრთება და მოუსწრაფეს დაუძლეულებს. ამას მიუმატეთ უკუღმართად მიდებულნი სწავლა-განათლება, სამშობლეს ვითარების უცდინარობა... და სხვა. ამ შხრავ ახადგაზდა ზოეტის შირის სასიამოვნო გამონაკლის შედგენს ჩვენა ნაჭეური მკაცრნი ვაჟა-ფშაველა. მხლელად ის განკრძობის მძლავრად ზარნასკე ნაწარდს და დედლა და დაქანცვა არ ეტეობა. ამის უმთავრესი მიზეზი, ნაჭს კარდა, ის არას, რომ ვაჟა ხარბად დასწავებია ხალხის ცხოვრების უმრეტ წყაროს და ზარს არ ამორების მას. დაახ, ცხოვრება უმრეტა წყაროა ზოეზისათვის. ამ სავნის შესახებ შემდეგ წერაღმი.


ყორანი.

მინატურა

ტ. ტაბიძე.

ვის არ სმენია მისი ბედითი ჩხავილი? ვისი დაობლებული სული არ იცნობს მის ფრთეთა ბარტყუნსა?.. შორს უდაბნოში, სილაში არის ჩაფლული ცხვრების წიგნი და მგზავრი, სიცხით მოქანცული კითხულ ობს შემდეგ მწუხარე სტრიქონებს: „ეს მაშინ იყო როცა, გოლგოთას მთა გორს ღამემ მოხვია ბნელი სუდარა, რათა ადამიანის ცოდვები დაემალა. გაფითრებული სჩანდა მთვარე, თავი ღრუბლებისათვის შეეფარებინა, რადგან რცხვენოდა კაცთა სიავის, „იყავ, ვით მამა სრულიო“ უანდერძა ადამიანს ჯვარზედ მილუთსმრომა, მაგრამ მან ლა-

ხვარით განიშორა. ის, ვისაც უნდოდა მზაკვარი ღმერთად გარდაექმნა. მოწყენით იღვა გოლგოთას ბედი. ცელქი ნიავისა ამ მწუხარ ღამეს არ არ სისინებდა, ჯვართან დახრილი ცრემლებით რწყავდა ჯვარცმულის გვამს მაგდალინა და ჯვარიდან ჩამონაწვეთი აისხლი, მაგდალინას ცრემლებთან შეერთებულლი, ნიაღვარი ვით მიქმუოდა ძირს ჯულღუმში, რომ მუნ დაემარბა კაცთა სიავე. ამ ღროს მოფრინდა ის გულსაკლავი იყო მისი ჩხავილი, ლეშად მიიჩნია ყორანმა ჯვარცმული ღმერთი და უწყო კორტნა. ძმაო იყო მაგდალინას ვედრეა. საშინელი



ფრინველი, ვისი თვალებიც ღამის წყვილადში მზესავით ანათებდა უფალოს კორტნიდა.

— იყავ წყეული, ღალადჰყო ხმითა დიდითა და მოსწყდა ჯვარცმულს ყორანი, მაგალინას მიაფერთხალდა და მას თვალი წარბთა სიწყვილიადნ ყორანს გადაედო და შავი გულით ერთიან ქაშავდა. ამისთვის, იტყვიან მგონები სატრფოს თვალებით და ბნელიდუბი, რომ ყორნის ფრთას მიაგავს შავი თვალებიუ. დიდხანს დასტრიალებდა წყევლიან შნკრული ყო-

გოლგოთას და ბოლოს გონ არეული ვაფრინდა შორს... შორს ამდღის დევ ის წინამძღვარია უბედურების დასაც ეწვია ჰეწნაზედ ჩამოკადეაულის და ამოკორტნა თვალები.

და ეხლაც შავი ყორანი, გულითაც შავი ვერ ივიწნებს ლეშს ნადიმზედაც იესოს წყევლოს და საზარლად აბრიალებს თვალებს.

ასე დასწყევლა ჯვაცმულმა ყორანი, წინამძღვარი უბედურებას.



ახადგაზღაბა - ნახატ. კნაიუნა არდუთინსკას.

დავმარხე სევდა...

(ბალმონტის ჰანგზე)

კ. აბაშისპირელი.

დავმარხე სევდა... მშფოთვარ სულის მუდმივი გლოვა ტალდას. თან გავყევ მივაშურე შვების სამთავროს. ციური ჰანგი გულის სიმებს ღრმად ჩაექსოვა. დავშორდი სოფელს, ცრემლთ სათავეს, ტანჯვის საწყაროს.



* * *

ცისა ეთერში ავაშენე წმინდა ტაძარი
და იქ ავინთე მე კანდელი სიყვარულისა
ვიბოვე სულის, მღელვარ. სულის თავ შესაფარი
ნიავეს მივეცი შავი სევდა, კვნეისა გულისა.

* * *

მთლად შევითვისე იღუმალი ბუნების ენა,
ვესწრაფვი მარად ვასკვლავთ ციმციმს, ვარსკვლავთა ციალს,
მე მოვიბოვე ტანჯულ სულის სიამე, ლხენა
და რაში ვაქნევ უგზო უკვლო ბედისა ტრიალს.

* * *

დავმარხე სევდა... მღელვარ სულის მუდმივი გლოვა
ტალღას თან გავყევი.. მივაშურე შევების სამყაროს,
ციური ჰანგი გულის სიმებს ღრმად ჩაექსოვა
დავშორდი სოფელს, ცრემლთ სათავეს, ტანჯვის სამთავროს...

უცნებელი პეტარდები.

(კვირიდან კვირამდე.)

გ. ახალციხელი.

იძულებული განმარტება. ბევრი ნაც-
ნობ-ამხანაგი განრისხებული მეკითხება: რა
გახუმრედს, ან რა გაცინებს მაშინ, როცა
აწმყო სინამდვილე ჩვენი საზოგადოებრი-
ვი ცხოვრებისა ბოლმით და ვარმით უნდა
უვსებდეს გულს ყოველ შეგნებულ კაც-
საო... განა ჩვენი ბრალია, თუ აღნიშ-
ნულ პირთ წესიერათ ვერ ამოუკითხავთ
ჩვენი „პატარ დები“, ვერ გაუგიათ ენა
ჩვენი „უადგილო ოხუნჯობისა“?!.. მათ
საგულისხმიეროთ და ჩვენი „ოხუნჯობისა“
ზედმოწვევით დასახსიათებლათ, ჩვენ თავს
ნებას მივცემთ და მკითხველს მოვუთხრობთ
ერთ ახლო ხნის შემთხვევას, მომხდარს
ინგლისში. რაიც უკვე დაბეჭდილი აყო
ზოგიერთ რუსულ გაზეთებში.

ლონდონის ერთ გამოჩენილ ექიმ-პსი-
ხიატრთას მივიდა ერთი მეტად დაძმარე-
ბული და ნაღვლიან სახის პაციენტი და
შესჩივლა თვისი ყოფა-სულიერად მოდუ-
ნებისა, გაბაროტებისა და ცხოვრებაში
სრულიად გულგატეხილობისა გადასკა-
იმას ევრეთვე, რომ, დრო გამოშვებით,
ფემიპყრობს ხოლმეო იმ გვარი უიმედო-

ბა და მელანქოლია, რომ, რაც დრო გა-
დის, სულ მეტად და მეტად ჩემში ღვიფ-
დება ის აზრა, რომ ნებაყოფლობით გა-
ვეცალო სააქაო ცხოვრებასაო.

ექიმმა დიდხანს და გულდასმით გა-
გასინჯა პაციენტი და. დარწმუნდა რა,
რომ საექიმო მეცნიერება უძლურია ამ
გვარ სულიერ ავთამყოფობის წინაშე—
პაციენტს ურჩია, დრო გამოშვებით,
ყარა თავი—სგასართობად თეატრებში,
ციოკებში და სხ.

— თქვენთვის საჭიროა სულიერი დამ-
შვიდება, შესვენება, —უთხრა ექიმმა. | აი
ჩემს მეზობლათ არის დიდი თეატრი, სა-
დაც თამაშობს ერთი ჩინებული მსახიობი.
იმ კაცს შეუძლია თვისი მომხიბლავი სიმ-
ხიარულე გადასდოს გადაჭარბებულ მე-
ლანხორიკსაც. აი, მე თითონ, რაც გინ-
და დაღონებული ვიყო, საკმარისია რამ-
დენიმე წამი დაყო აღნიშნულ მსახიობის
შეუდარებელ ოხუნჯობის გავლენის ქვეშ,
რომ ყოველივე ნაღველი გულისდგან გადა-
მეყაროს, მთლად გავხალისდე და გავმხი-
არულდე: თითქოს სიკბუყე დამიბრუნდა

და სადღაც შორს, შორს გაჰქრა უქმური მოჩვენება სიბერე-უძლოობის ლანდისა...

ექიმი გაჩუმდა. პატიენტმა ქუდს ხელი წამოავლო და მიმავალმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაილულლულა:

— ის მსახიობი ხომ მე თითონ ვარო...

პეორე დღეს კი თურმე ნახეს თვის ბინის ქერზედ ჩამოკიდებული გვამი იმ მე-„მეტად ახუნჯ“ მსახიობისა...

* * *

არა. ოხუჯობა რა შუაშია, როცა ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ფაქტის მშრალად აღნიშვნაც კა კაცს სიციინთა ჰკლავს. მიდით დნ ნუ იცინებთ სტა შალვა ტატიშვილის გულუბრყვილობაზედ, რომელიც „სახალხო გაზეთში“ გულდაწყვეტილი იტყობინება: მოსკოვის უნივერსიტეტს აქვს საკუთარი კათედრა ქართულ ისტორიისა და ლიტერატურისა. კვირაში ერთხელ პროფ. ხახანაშვილი კიახულობს ხოლმე ლექციებს ქართულ ისტორიაზედ და ლიტერატურაზედ. მაგრამ ამ ლექციებზედ ქართველ სტუდენტს ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევაო. ახირებული პრეტენზიაა თქვენმა მზემ: ის კაცი, რომელიც რუსის ჩინოვნიკად ემზადება, აბა რა საჭიროა იმისთვის „ყოვლად გამოუსადეგარი“ ქართულ ისტ.-ლიტერ. შესწავლა. და ან იმდენი დრო სად გახლავთ: ეს ბანქოობაო, ეს არცბაშვეისებურ წრეებში მონაწილეობის მიღებაო, ეს კიდევ ქართულ-პატრიოტული ქეიფი, — ხომ უწყით, რომ კაცი ცხოვრებას უნდა დეეშუროს, რადგანაც: „რასაცა გაჰქრამ — შენია, რაც არა — დაკარგულია“ (ეს ბოლო თქმულება შოთა რუსთაველისა და უკანვე გადმოთარგმნილია ბ. შ. დავითაშვილის მიერ რუსულად გადათარგმნილ ვეფხის ტყაოსანიდგან).

სწორედ ამ გაკვრის ყინით და ცხოვრების დაშურებით აიხსნება, რომ გასულ კვირა დღეს ქართული თეატრი მთლად გაშუქებული იყო... ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებით: რომელთა უმრავლესობა იმიტომ შეყრილიყო, რომ დანამდვი-

ლებით გეეგო: თუ მალე გაიყვანდნენ კახეთის რკინის გზას, — მეტი რა გზაი მანამდე როგორმე შეინარჩუნებდნენ... ჯერმე გადაგირავებულ მამულ-დედულის უკანასკნელ ნაჭრებს, თუ არა და ბარემ-და ეხლავე მუშტრებიცა გვეყავს („ხოდაკები“ და ჩარჩები) და „ოკონჩატელნაია რასპროდაჟას“ ეხლავე დავნიშნავთ, რომ — ქვის გული რომ არა გვაქვს — ერთი ორი პირი მაინც მაღლიანათ წავიქეიფიანებთ გორგიჯანოვის კაფე-შანტანშიო, ან ტრუცის „ცირკაჩკებთანაო“...

* * *

ჰო. მართლა, — ცირკზედ გამახსენდა: ყველა ჩვენგანს, თუ არ უნახავს, გაუგონია ხომ მაინც, რომ ცირკის მასხარა — კლოუნები იმდენათ გაწვრთნიან ხოლმე პირუტყვებს და განსაკუთრებით ძაღლებს, რომ ზოგიერთ მათ მოქმედებას კაციც ვერ მოახერხებს. დიახ, ბევრ ნაირად გაწრთნეს ძაღლი, მაგრამ ეს გონიერი პირუტყვი ვერაფრით დააჩვიეს, რომ თავისივე პატრონს მიუსიონ... სულ სხვას ვხედავთ მძ. ხაჩატუროვების ცირკში, უკაცრავად, — გაზეთში: იმათმა მომჯადოებელმა შავმა გროშებმა, ან ქალაქის სამმართველოში დაპირებულმა მცირე რამ ადგილმა, უკვე რამდენიმე „მალალი პრინციპების მქადაგებელი“ და „უუმარცხენეს მიმართულების“ ქართველი დააჩოქა აღნიშნულ უწმინდურ ცაძრის წინაშე და დორბლ-მორეულ პირით, ღრენა და კბენა დააწყებინა თავისივე ფრის და მოძმისა. დიდის სიამონენებით დაგისახელებდი, მკითხველო, ამ ვაჟ-ბატონებს, მაგრამ რა საჭიროა ზედმეტად სისხლი აგინდვრიო...

* * *

მით უმეტეს, უმისოთაც ბევრი რამ სისხლის ასანდვრევი ხდება ჩვენ უბადრუკ ცხოვრებაში. აიღეთ თუ გინდათ ის ფაქტი, რომელიც მოყვანილი იყო გაზ. „თემის“ ბოლო № 3-ში. აქმობამდე თუ იყენი „მამულიშვილი“ — მებატონებ მხოლოდ მუცლის გულისათვის ჰყიდნენ უცხოელზედ მ.მა-პაპურ, სისხლით და ცრემ-

ლით შერჩენილს მიწა-წყლის, ახლა მო-
ურიდებლათ ესეთ გაფლანგვას „პოლი-
ტიკური ხასიათსაც აძლევენ: ვაზ. „თემი“
იტყობინება, რომ „თავ. ციციშვილების
მამული—„საციციანოს მთა“; ზომით 75
ათასი ღვეტიანა იყიდება. მის პატრონთ
მიუმართავთ სადაც ჯერ არს,—რომ მა-
მულის ხაზინის მიერ შესყიდვას დიდი
პოლიტიკური მნიშვნელობა ექმნებაო“...
* * *

პოლიტიკისა რა მოგახსენოთ და ფი-
ლოსოფია რომ უტყუარი უძილობის წა-
მალი ყაფილა, ამის მაგალითს ეხლავე
მოახსენებთ; ჩემი ნაცნობი კურსისტები,
შეუძღვებიან ხოლმე თუ არს ამ საგანში
მეცადინეობას, ისრეთი ძილ-ქუჩი დააწ-
ვებთ, რომ ზარბაზნ ბთაც ველარ გააღ-
ვიძებთ... საბრ-ლო, უძილობით დატანი-
ჯულმე; ბებია ჩემი რუსული მაინც იცო-
დეს: მივაწოდებდი ჩელპანოვის, ან ლუნ-
დის ფილს. სახელმძღვანელოს და, ის
რომ ერთს მაღაიანს ძილს გამოაცხობდა
მეც ვცხადებოდი...

ქართული თეატრი

არ. ავ—ნი.

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოე-
ბამ სეზონის დაწყებისას ბევრს ქართველს
გაუღვიძა იმედი, რომ გამგეობა წელს ქა-
რთული წარმოდგენის მართვას მეტის
გულმოდგინებითა და უნარით გაუძღვე-
ბოდა. ამის საბუთათ საქმარისი იყო კა-
ცი პირველ წარმოდგენებს დასწრებოდა,
თვალყური ედევნებინა რეპერტუარისთვის.
ასეთი კმაყოფილება და სიამოვნება ჩვენც
გამოვსთქვით მაშინ და გამგეობას უსურ-
ვეთ აზნაირივე მხნეობითა და შერჩევით
განეგრძოთ სეზონის საქმე.

მაგრამ... განახლებული დასი, განახლე-
ბული რეპერტუარი, განახლებული ძალა და
და ყველა ეს თითქმის სურვილათა და
ოცნებათ დარჩა. ძალებზედ აქ არას ვიტ-
ყვით, ამაზედ ლაპარაკს სეზონის მთლათ
დათავებამდის დავიცდით; ახლა კი არ
შეიძლება კაცმა სიჩუმით აღუაროს იმ
უყურადღებობას, რომელსაც გამგეობა
რეპერტუარის ამორჩევაში იჩენს. ჯერ
თავადვე „სამშობლოთი“ გაიხსნა რეპერ-
ტუარი, მაგრამ ამას შეურიგდით; შეურიგ-
დით, იმიტომ რომ ეს წარმოდგენა განა-

ხლება იყო „სამშობლოთი“; მიზეზიც კი არ
იუბილევ, დავით ერისთავის ხსოვნა და
სხვა. მაგრამ „სამშობლოთი“ პიესები მოჰყვა და ამან მშვენიერი შთა-
ბეჭდილება მოახდინა ყველა შეგნებულ მა-
ყურებელზედ. ამნაირის ერთნაირობით ვერ
წავიდა საქმე. დეკემბრიდან მაინც ისეთი
უგულობა და უყურადღებობა ეტყობა ჩვენს
თეატრს გამგეობის მხრივ, რომ მეტის წა-
რმოდგენაც კი არ შეიძლება. დაიდგა ჯერ
„ლალატი“ ორჯელ „თამარ ბატონიშვი-
ლი“, „სამეგრელოს მთავარი ლევან“ და
და ახლა კი „და ძმას“ ამზადებენ დღე-
ისთვის. ისღა გვაკლია რომ მალე „მუ-
რად ფაშა“, „ქორლი“ და სხვა ამი-
სთანებით გაგვიმასპინძლდნენ. ამით ჩვენ ის
კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ ისტო-
რიული პიესების დადგმა მთლათ უნდა
მოისპოს, არა, მაგრამ უნდა ისეთები ამო-
ირჩიეს ჩვენი ისტორიული რეპერტუარი-
დგან, რომელიც მაყურებელს ეხთეტიუ-
რად მთლად თუ არ დააკმაყოფილებს,
მის გრძნობას და შეგნებას არ შეპლახავს
მაინც. უკანასკნელი წარმოდგენები სწო-
რეთ ამ ნაირს უხეირო წარმოდგენებათ
უნდა ჩაითვალოს; ამ გარემოებას პრესამ
მხოლოთ ერთხელ მიაქცია ყურადღება,
და ამ ნაირს თამაშს „ვამაჟუკა“ უწოდა.
მართალიც არის, არა თუ ერთხელ, თით-
ქმის ყველა ბოლო ხანების წარმოდგენე-
ზედ უნდა გამოეთქვათ რეცენზენტებს
მსჯავრი, მაგრამ სტერიოტიპულს რეცენ-
ზიებზედ მეტი არა ისმის რა.

საწუხარია, როცა გამგეობა დასს და
მეტადრე ისეთს საპატიო რეჟისორებს,
როგორც მესხიშვილი და შალიკაშვილია,
ამ ნაირს „თამარ ბატონიშვილებზედ“
აკარგვინებს ენერგიას. სამწუხაროა, რო-
ცა ადამიანი კარგათ დაწყებულს საქმეს
კუდათ ჰხედავს დამთავრებულს. სულ 23
დღე და დარჩა სეზონის გათავებამდის და
მაინც იმედი გვაქვს გამგეობა შემდეგი
წარმოდგენებისათვის მაინც შეარჩევს რი-
გიან პიესებს და ამით მაინც გაასწორებენ
ასე არა სასიამოვნოთ დამთავრებულ სე-
ზონს.

რედაქტორ-გამოცემელი

ნ. ლორთქიფანიძე.



განჯიენდის სასახლე

შოთა ლალიანი.

დრამა 3 მოქმედებით.

(ა ვ ა ხ უ რ ი ც ხ ა ვ რ ე ბ ი ა დ ა ნ).

მოქმედება სწარმოებს მე-XX საუკუნის პირველ წლებში.

მოკმედეანი პირნი.

ივანე—ვექილი.

იოსები

ივანეს შვილება.

სამსონი

ლევანი—მათი ამხანაგი,

დათიკო. მეზობელი ივანესა

ნინო—დათას და.

ანა—თბილელი.

ძიძა.

მოქმედება I.

მდიდრულათ მორთული ოთახია, რომელიც დერეჟნით ბალს გადაყურებს. დერეჟანში სდგას იოსები და ბალისაკენ იყურება ფარდის ახლის დროს სცენაზე მარტო სამსონია, მონადირეს ტანსაცმელში გამოწყობილი და თოფსა სწმენდს. სიჩუმეა. მხოლოდ ხანდახან სიჩუმეს სამსონის წელის ხმით სიმღერა არღვევს.

სამსონი. (იასკებს გასძახებ დერეჟანში) იოსებ, რას მისჩერებიხარ მანდ ამდენი ხანი?

იოსები. (დერეჟანში ცატა სიჩუმის შემდეგ). შადრევანს.

სამსონი. განა პირველათ ხედავ დღესა?

იოსები. (მოტრიალდება და წამოყვას სმისანისაკენ.) თითქის პირველათ იმხრივ რა მხრივათაც ახლა მეჩვენება.

სამსონი. რამე ახალი აღმოაჩინე?

იოსები. დიხა! (შატარა ხასს დგას ივანეს და შემდეგ სავარძელში ჯდება) თვალწინ დამეხატა საოცარი მსგავსება მისი და ადამიანის დაბადება ცხოვრებისა.

სამსონი. ნუ თუ?

იოსები. (ირთხაით გადახედავს) არა გჯერა? შენ მაინც ჩემი არაფერი გჯერა!!

სამსონი. რათა? სთქვი, მე ყურს გიგდებ!

იოსები. (გაჩუმდება, ბაღას გასწორდება სავარძელში უხმოთ).

სამსონი. (შესვლას გაკვირვებული) იო-

სებ! მე ყურს გიგდებ!

იოსები. (იმავე პლანში დაბადის, წყნარის ხმოთ) სიცოხლე იქაც, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, შეუჩერებელი სწარმოებს. ყოველი წვეთი, ცალკალკე აღებულნი—მოძრაობს; ასე რომ ვსთქვათ, უსიცოცხლოთ. ცხოვრობს, უსულოთ სუნთქავს ერთი რომელიმე, მაგალითათ, თავს ანებებს თავის უწინდელ ბინას და უთმობს ადგილს მეორე წვეთს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და ასე გამუდმებით პირველი წვეთი, რომელიც შადრევანის საძირკვილიდან ამოდის უფრო მაღლა დგას თავის მომდევნოზე—

სამსონი. ისე როგორც მაგალითად, შთამომავლობა წინაპარზე.


იოსები. არა! ხშირათ მოხდება ხოლმე შთამომავლობა რომელიმე დარგში უკან იწევს მაგრამ ამ ჟამად ეს სრულიად არ მაინტერესებს... შენ გამაწყვეტინე...

სამსონი. უკაცრავათ.

იოსები. (გახვარაბის) იმას ვამბობდი: პირველი წვეთი უფრო მაღლა დგას თავის მომდევნოზე, მაგრამ როდესაც სიმძიმის ცენტრი, დასძლევს წვეთის მამოძრავებელ, ე. ი. მოწინააღმდეგე ძალას, წვეთი იძულებულია დაბლა დაიხაროს და შადრევანის ძირისაკენ პირი იბრუნოს. ასეთივე პროცესი სწარმოებს, ასეთივე ევალებალობა არსებობს ადამიანთა ცხოვრებაშიც: იქაც და აქაც იძულებაა. რომ არ ამუშავო შადრევანის მამოძრავებელი ძალა, განა ეკითხება ვინმე მას: სურს თუ არა მოძრაობა? განა ვინმეს მოუვა აზრათ ასეთი კითხვა? ვინ რას დაგიდევს?

სამსონი. ამით რა გინდა სთქვა?

იოსები. ის რაც სულ მქვამ მილობარაქნია და ვამბობ.



სამსონი. ჰოო! ისევ შენს საყვარელ საგანზე ფიქრობ? მე რაღაც, წინათ-გრძნობა მეუბნება, რომ შენ შენი იდეა კეთილს არაფერს მოგიტანს.

იოსები. შეიძლება: იდეის მექონე ვერასოდეს კეთილს ვერ შეეყრება, მაგრამ ამის როლი მეშინია: შიშს არასოდეს არაფერი არ შეუქმნია.

სამსონი. მართალია, მაგრამ გაბედულობასაც ხშირათ ბევრი რამ წაუხდენია.

იოსები. ესეც მართალია, მაგრამ გაბედულობის წახდენილი, ისევ გაბედულობას უსწორებია. (სისკა კაღათი) შენ ხანდახან ძლიერ გულკეთილობას იჩენ და ჩემგან მაღლობას ელი.

სამსონი. ვერეც რომ იყოს?

იოსები. შემცდარხარ ჩემო კარგო: გულკეთილობა ჩემისთანაებისადმი მუდამ სიბრალულითაა აღძრული და იცოდე კი მე არავის სიბრალულს არ ვსაჭიროებ. დაიხსოვე კარგათ: ნურასოდეს ნუ შემიბრალებ. მე ამის ატანა არ შემიძლია. ყვალამ დამკინოს, მკემონ, მაგინონ, მლანძღონ... შეიძლება ეს ყველა მოვითმინო, მაგრამ შებრალებას თავი დაანებეთ. (ანქნა რეპიით გაიფლ გაშიაფლავის. სამსონი გაკვარეპული მსრესის ააწყეს).

სამსონი. (ცოტა სიხუშეს შემდეგ) ერთი გარემოება მაკვირვებს, იოსებ!

იოსები. (არ შეხუდებს) რომელი?

სამსონი. ჩვენი ურთიერთობა.

იოსები. (გულკრძაღთ) მართლა? მერე? მე ყურს გიგდებ.

სამსონი. რამდენჯერმე მინდოდა შენთან ამის შესახებ მოლაპარაკება, მაგრამ, მართალი ვიხარა, გერიდებოდი. ჩვენ ხომ ერთად ვიზდებოდით პატარაობიდანვე, ერთათ ვსწავლობდით... ესეც რომ არ იყოს ჩვენ ხომ ძმები ვართ? განა გვძულდა ერთმანეთი?

იოსები. არც გვიყვარდა მგონია!

სამსონი. ამხანაგები მაინც არ ვიყავათ?

იოსები. (ჩაფიქრებული) შეიძლება, მაგრამ იმასაც ნიადაგი გამოეცალა მაშინ.

როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, ჩვენ შენს საკუთარი „მე“ც ვიგორძენინებდით ამის მიზეზის გაგება გსურს?

სამსონი. ხწორეთ ეგ მინდოდა: მე მგონია არაფერი წაგიხდებოდა არც შენ და არც მე რომ ერთხელ მაინც გულახდილათ მოვილაპარაკოთ.

იოსები. (ჯდება და თავით სავარძელს გადაწყობს) კეთილი: მე არა ფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ იცოდე თუ პირადათ შენზე რამე საწყენი ითქვას არ გაჯავრდე

სამსონი. დამშვიდდი... რამდენადაც მახსოვს ისეთი არაფერი ჩამიდენია რომ შენგან გასაკიცხი ვიყო.

იოსები. ვინ იცის: უსამართლოს, მართალია, არაფერს გაიგონებ, მაგრამ ხანდახან სამართლიანიც ძლიერ საწყენია ხოლომე.

სამსონი. შეგიძლია სრულიად თავისუფლათ ილაპარაკო.

იოსები. ვისარგებლებ შენი ნება რთვით როცა ბავშვი ერთის საგნიდან, მეორის გარჩევას იწყებს მაშინ იგი აზროვნებს.

სამსონი. სრული ჭეშმარიტებაა!!

იოსები. ზოგი ბავშვი ასეთ თვისებას ადრე გამოიჩენს ხოლომე, ზოგიც უფრო გვიან.


სამსონი. ესეც მართალია!

იოსები. მეც, საუბედუროთ თუ საბედნიეროთ, აზროვნება ადრე დავიწყე და მალე გავარჩიე ერთმანეთისაგან სამსონი და იოსები.

სამსონი. რაში გამოიხატა ეს გარჩევა?

იოსები. ჩვენი ფიზიკური უთანხმოების გათვალისწინებაში... მაშინ ჩემში რაღაც უკმაყოფილების გრძობამ დაისადგურა სამუდამოთ. შეიძლება ის გრძობა შურიც იყო, -არ ვიცი კარგათ: მაშინ არ შემეძლო ანგარიში გამეწია იძისათვის და გადაწყვეტით ერთი რომელიმე მიმელო უტყუარ ფაქტათ (განუქმდება).

სამსონი. მერე! განაგრძე!!



იოსები. მაშინ შევნიშნე აგრეთვე, რომ ყველა, ვინც გარშემო მეხვია, მხოლოდ მოთმინებით მებყობოდა და არავითარი გრძნობა, სიყვარულისა, გარდა სიბრალულისა და ხშირათ აშკარა ზიზღისა ჩემდამი არ იყო. ალბათ გახსოვს, რომ რამდენჯერმე სიკვდილი მოვინდომე: ერთხელ ზღვაში გადავარდი; მაგრამ ვადამარჩინეს; მეორეჯერ ხიდან ჩამოვარდი—არც მაშინ მოვკვდი; მესამეჯერ საწამლაი დავლიე,—ამასაც გადაურჩი... ამ რიგათ, დღითი დღე, უფრო და უფრო მწარე ასატანი შეიქნა ჩემთვის ასეთი ცხოვრება.

სამსონი. შეიძლება ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ შენს წინააღმდეგ სულსყველა ვინც გარშემო გეხვია, წინდაწინვე დასახული მიზნით მოქმედებდნენ?

იოსები. შენ კი დარწმუნებული ხარ, რომ არა?

სამსონი. რასაკვირვლია.

იოსები. სცდები ჩემო კარგო: შენ რას ეძახი წინდაწინ დასახულ მიზნით სხვის შევიწროებას, დაცინებას? ნუ თუ შარტო იმას, როცა ადამიანი იტყვის: ესა და ეს უნდა გავაკეთო, ან ესა და ეს უნდა მოვიმოქმედო ჩემი აზრის გასახორციელებლათ?

სამსონი. მაშ რა არის წინდაწინ რისამე დასახვა?

იოსები. რასაკვირველია ესაა, მაგრამ აი საქმე რაშია: ხანდახან ადამიანი გრძნობს, რომ ცუდ საქმეს სჩადის, მაგრამ მაინც განაგრძობს ერთხელ დაწყებულს. შეიძლება თქვენც გრძნობდით, რომ ცუდათ შექცეოდით, მაგრამ მაინც განაგრძობდით ერთი გზით სიარულს. ყოველი თქვენგანი ცდილობდა, ან შეიძლება არც კი ცდილობდით, და მხოლოდ ინსტიქტიურათ ჩადიოდით,—რაც შეიძლებოდა, ხაზგასმით დაგენახებინათ ჩემთვის და სხვებისათვისაც ჩემი სიმახინჯე. დედამას რცხვენოდა ჩემი შვილათ აღიარება, შენ გრცხვენოდა ჩემი ძმობა... ასეთ მიზეზებ-

მა დაბადეს ჩემში უზომო სიძულვილი. შენ როგორც გინდა ისე მონათლავდი ნი საქციელი: წინდაწინ დასახული თუ შეუგნებლათ, მაგრამ შედეგი კი ორივესი ერთი და იგივეა. რათ გამომადგება მე ან ერთი, ან მეორე? ჩემთვის ორივეს ერთი და იგივე ფასი აქვს და ამიტომაც გითხარი—სცდები მეთქი. მე ბუნებით ბოროტი, ავი როდი ვარ, მაგრამ ბავშვის სული, ჩემო სამსონ, ტალახსა გავს და თუ ზედ ფეხი დაადგი ნათესური, როცა ტალახი გახმება, ზედ მკაფიოთ დააჩნდება.

სამსონი. განა შეუძლებელია მისი მოსპობა?

იოსები. თუ კი ნათესურის მოსპობას მოისურვებ, თვით გამხმარი ტალახი ლუკმა-ლუკმათ უნდა აქციო. (ხმას გამაღვიძის და მწარათ დამაღვით გადახედავს სმსონს) ახლა მხოლოდ ის დადაგრჩენიათ—ჩემი არსებაც მოსპოთ და დაშალოთ. (მაუხის შეშდეგ.) ამ რიგათ ჩვენს შუა აღიმართა ძლიერ მაღალი კედელი აღზდით დაწყებული და ფიზიკური უთანასწორობით დამთავრებული. მართალია, ახლა მე ვამართლებ ჩემს მშობლებს: ექვს გარეშეა მათ შენ უფრო უნდა ჰყვარებოდი ვიდრე მე, მაგრამ მაინც ვერ შეურიგდები ჩემს ბედს. (მეხედავს სმსონ თვალეშა) მე, სამსონ, მრცხვენია შენს გვერდით გავლა, საზოგადოებაში ყოფნა, რადგან ყოველგან დამცინიან.

სამსონი. თუ მართლა გრძნობ რომ შენზე მეტად მე უნდა უყვარდე ყველას, ე. ი. სილამაზე მეტი საყვარელია სიმახინჯეზე ნუ თუ არ შეგიძლია მოითმინო და აიტანო დაცინვა?

იოსები. რა თავისუფლათ ლაპარაკობ? (წამაღვება და ართნათ გადახედავს სმსონს) თავდაპირველათ მე—ადამიანი ვარ... შენ ეს გავიწყდება. შენ არ გამოგიცდია რას ნიშნავს სიმახინჯე და მისი დაცინვა; არ იცი და ვერც წარმოიდგენ რა ძნელია დაცინვა ადამიანის ნაკლებლოვანებისა; შეიძლება თავისუფლათ აიტანო ისეთი



დაცინვა, რომელიც შეეხება ნაკლულ-
ვანებას რომლის გასწორება შეიძლება
და რომელიც უმრავლესობისათვის მაინც
საერთოა. მაგრამ როცა ჩემ სიმახინჯეს
დასცინებენ (აწადაას დედებს), როცა
ჩემს გვერდით ჩურჩულსაც კი გააბამენ,
ძარღვებში სისხლი მეყინება, ასე მგონია
ყველა და ყველაფერი, ყოველგან და ყო-
ველივეს ჩემს სიმახინჯეზე მსჯელობენ-
მეთქი...

სამსონი. ეს, ჩემო იოსებ, პატალო-
გიური მოვლენაა.

იოსები. (შეჩქრდება და სამსონს თვალებ-
ში მიაჩნდება) შეიძლება შენ მართალი
იყო... მე პატალოგიური ტიპი ვარ, მა-
გრამ იმდენი ძალა კი შემწევს, — ყველა-
ფერს ანგარიში გაუწიო. მე ავთა ვარ,
იმას ვგრძნობ, მაგრამ წამალი ამ ავთ-
მყოფობისა არც ერთმა ექიმმა არ იცის.
შემომხედე და მიხვდები რაში მდგომარე-
ობს ჩემი ავთმყოფობა. (საჩუქს). დიახ,
სამსონ! შენ ლამაზი ხარ, მე კი მახინჯი.
ეს საქმარისია ორი საყვარელი არსებაც
ერთმანეთს მოაშოროს.

სამსონი. განა სიყვარულს ადამიანი
მარტო სილამაზით ჰპოებს? განა ჭკუა
გონება ადამიანისთვის საკმარისი არაა?
და შენი ჭკუა გონება ხომ ყოველგან
ცნობილია?!

იოსები. ჭკუას მხოლოდ პატივსა სცე-
მენ და სილამაზე კი უყვართ. თქვენთვის
მხოლოდ ჩემს ჭკუას აქვს ფასი და ღირ-
სება. მე ყველასათვის ვარ, ჩემი ჭკუა
კიდევ ცალკე! მაგრამ ის ჭკუა, რომელიც
თქვენ გწამთ, ხომ ჩემია? უჩემოთ განა
იგი იარსებებდა? ორივე ერთმანეთს ვე-
კუთვნი და თქვენ მხოლოდ ერთი ნა-
ხევარი გწამთ. აი ამაშია ჩემი უბედურე-
ბა.

სამსონი. მაშ მეც მიღვეს წილი შენს
უბედურებაში, არა?

იოსები. განა გეუცხოვა ჩემი აზრი?
ამაში შენც იმდენათა ხარ დამნაშავე,
რამდენათაც სხვები!!

სამსონი. მე (უნდა ვიდექ რაღაცა სთქვას

მაგრამ იასუბი შეჩერებს).

იოსები. არ აჩქარდე, თორემ სულ-
ეს იტყვი; მე თითონ გაგასწავლეს
ეპიზოდს ჩვენის ცხოვრებიდან: გახსოვს
ერთხელ მამაჩემმა ჩვეულებისამებრ, გა-
მართა საღამო და მე და შენ ლექსები
წაგვაკითხეს?

სამსონი. გახსოვს რაღაც ბუნდოვა-
ნათ!

იოსები. გახსოვს დეკლამაციაში მე
გაჯობე?

სამსონი. დეკლამაციაში ახლაც მჯობ-
ნი!

იოსები. ისიც გახსოვს მაშინ რა მი-
თხარი?

სამსონი. რა გითხარი!! (ფიქრასი) არ
მაგონდება.

იოსები. ბედით კმაყოფილთ, არ აგონ-
დებათ სხვისი შეურაცყოფა. მე კი მახ-
სოვ, შენ ისეთი სიმწარით, ისეთი სიბ-
რაზით მომძახე „შე კუზიანო, შე მახინ-
ჯო“—ვო, რომ დღესაც, თუმცა მას შემე-
დგე თექვსმეტმა წელმა განვლო, — გულ-
ში ჩამრჩა შენი სიტყვები. ატყობდი, რომ
შენსე მეტი გრძნობა მქონდა და ესეც
გშურდა ჩემთვის. (ცოტა საჩუქის შემდეგ)
აი, ეს არის მიზეზი ჩვენი არაჩვეულებ-
რივი ურთიერთობისა.

სამსონი. (ცოტათა უხერხულათ) მესმის.


იოსები. კეთილი. (სამსონს თათვას
წმენდას შეუდგება ჩამავადება უხერხული სა-
ჩუქს. ანც ერთა ხმას არ იღებს. იასუბი
გაწმეული ზას სავარძელში და სივრცეში
ფეურებს, სამსონს კა თათვას ატრიალებს. გა-
დას რამდენიმე წუთი და უცნებ ბადიდან მო-
ისმის დათავის მხარულა ხმა).

დათაკო. იოსებ! სამსონ! (არაფე შე-
კრთებას) ჰეი! დაყრუვდით?

იოსები. (არ ინსტუკა ადგალიდან)

სამსონი. (გადის დერეფანში და გადა-
ხედავს ბაღში) ნინო! დათაკო! რა ღმერთ-
მა ჩავაგონათ ჩვენსკენ წამოსვლა? (სამსონ-
ს უცნებ გამისარულდება) მობრძანდით: მო-
სვლა თქვენი და დახვედრა ჩვენი.

დათაკო. იცოდე არ შერცხვეთ: ჩვე-



ნისთანა სტუმრების დახვედრა ადვილი არ არის. (ნინო და დათა დერუფანში გამოხსენების) ბოდიშს ვიხდით რომ ასე შინაურულათ მოვიქცეთ და ბაღში ნება დაურთველათ შემოვედით (ერთმანეთს მაკლავს.) მართალი ვითხრათ დავილაღე: (შეიძინა სტენაზე, ალესიან მაკლავს.) ჩემი დაია, მთელი დღე რომ ფეხით არბენიო, არ ილაღება. არ ვიცი ღმერთმანი, ამას ან ქაჯები მსახურებენ და ან ეშმაკები.

სამსონი. (ნინოს) სად ბრძანდებოდი?

ნინო. ხევისაკენ გავისერიწეთ.

დათიკო. ვნახეთ „განწმენდის სასახლე“

იოსები. მოგეწონათ? (უცუი) უკაცრავათ, დაბრძანდით.

(ნინო და დათაჲ სსდების. სსმოსანა მაკლავს ნინოს და ალესიან კა შათ ხარ და ხარ დაღება)

ნინო. არ ვიცი მომეწონა თუ არა; შინც და მანც გარეგნობით მოსაწონი ვერაფერი დავინახე, მაგომ ძალიან კი შემიწინდა.

იოსები. რისა? ნუ თუ რამე მოგეჩვენათ?

სამსონი. (ხუმრებით) ვინმე ხომ არ დაგეღვენათ?

ნინო. (დაწვხვეწილად) არც ისე შემშინებია, როგორც თქვენა ფიქრობთ.

სამსონი. არა, არც ისე, რასაკვირველია, მაგრამ მანც შეგეწინდა!

ნინო. ასე მეგონა, თითქოს იმათ ამოყვეს ხელები და ჩემსკენ წამოიწიეს. (დათაჲ დგება და კაჲლა-გამოაღდას. თაკისუფლათ გრძნობს თაკს).

დათიკო. (ამ კუთხიდან სსდაც რაიღა დგას) უნდა გენახათ, რა ამბავი მოხდა. მაშან...

იოსები. განა კვდრების გეშინიათ?

სამსონი. მე არ მეგონა თუ ასეთი შშიშარა იყავით.

ნინო. ხან და ხან კვდრებიც საშიში არიან.

იოსები. (მაჲბრუნდება დათაკის) სრული ქეშმარიტებაა: „ხანდახან კვდრებიც

საშიში არიან“ (ხაჲიქრუჲდი) ნამდვილია. (სამსონა მაკლავს ნინოს) იცი რა სიკვდალი ლეგენდალური, ბურუსით, ბუნდოვანებით მოკული საშიშარია. „განწმენდის სასახლის“ გმირთა სიკვდილიც საიდუმლოებით მოკულია და ამიტომ ხშირათ საშიშოა. მეც გამომიცდია ამის მზგავსი რალაჲა.

დათიკო. შენ რათ გაშინებს ან რათ გაფიქრებს „განწმენდის სასახლე“?

იოსები. იმათ, რომ იგი განწმენდის, გასუფთავების სიმბოლოა. შენ არ გჯერა რომ ლეგენდა ხანდახან ბედის წერათაც გადაიქცევა?

დათიკო. (გაჲრანის მკლავში ხეჲს და გაჲლეს დერუფანში) გავიდეთ იქით: ერთი რალაჲა მინდი კკითხო. (გადას დერუფანში).

იოსები. ბრძანე: მე მზათა ვარ შენი სურვილი დავაკმაყოფილო.


დათიკო. მართალი მითხარი: შენ ძლიერ მძიმე საიდმილო გაქვს და ის გაწუხებს, არა? მე მინდა ვიცოდე იგი, თუ კი შეგიძლია ვინმეს გაუნაწილო. რა გაშფოთებს? რა არის ასეთი მძიმე ასატანი შენთვის?

იოსები. ყველაფერი, ჩემო კარგო, ყველაფერი. (ხუშად მუხსაფლავს).

სამსონი. (ნინოს, რამჲღაც მზასს კთამსება) რომ მითხრან, მთელი ქვეყანა შენ გქონდეს და ნინო დასთმეო, არ შემიძლია. შენ მეუბნები, არ მიყვარხარო: რომ არ მიყვარდე განა შენი სახე, შენი ერთი შემოხედვაც კი ასე ძვირფასი იქნებოდა ჩემთვის?

ნინო. განა არ შეიძლება, სამსონ, იმიტომ მეუბნებოდე ამას, რომ ლამაზი ვარ და წუთიერმა ნდომამ გაგიტაცა?

სამსონი. სწორეთ იმიტომ გამიტაცე სწორეთ იმიტომ მიყვარხარ, რომ თავდაპირველათ ლამაზი ხარ. ჩემი ძმა ხშირად მეუბნება ხოლმე: მხოლოდ სილამაზის შეყვარება შეიძლებაო. განა ნაკლულევანება სილამაზე სიყვარულს დროს?



ნინო. სრულიადაც არა, მაგრამ მე იმის შემინია, ვაი თუ მხოლოდ ზერელე, სუსტი იყოს შენიგრძნობა. შენც კარგათ იცი, რა ნაბიჯის გადადგმას მთხოვ და ამიტომ უფრო მეტი ფიქრი, უფრო მეტი წინდახედულობაა საჭირო. (წამოადგება და რაიადისაკენ მიდის. საშისინაც თან მიჰყვება). ესეც რომ არ იყოს ჩვენ წინ კიდევ ბევრი დრო გვაქვს. მოითმინე და შეიძლება საქმე სწორეთ ისე მოეწყოს, როგორც შენ გსურს. ჩვენ კიდევ არ ვიცნობთ ერთმანეთს.

სამსონი. განა ცოტა ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ!?

ნინო. (სადაუძღვებით) სსუ! კიდევ ცოტა მოითმინე—ხომ იცი—მიყვარხარ?

სამსონი. თუნდ საუკუნე მომიხდეს ცდა მე შენს ნებას არ გადავუხვევ.

ნინო. (სწრაფათ გადაურბენს ვაჯიშებს) ასე სჯობია, (შემდეგ მიუჯდება რაიადს და ურავს ნულის ხმით ბაიასი: სამსონი დგას უხმოთ მის ზარდაზირ და ყურს უგდებს. დერეფნიდან შეუმჩნეველნი რჩებიან).

იოსები. შენ მაინც არ გჯერა? შენ არ გჯერა, რომ მე უბედური ვარ? სიმახინჯე ყოველგვარ უბედურებაზე უარესია მე ვერაფერი ვერ გამახარებს, რასაც კი ვხედავ ჩემთვის ყველაფერი ჯოჯოხეთია. მიყვარს ყველანი და ყველაფერი არა ჩემი მსგავსი, მაგრამ ამასთან მძულს საშინელი სიძულვილი (ადგუკეუდა) აბა გაიხედე იმ მთებისაკენ: იქ, შორს, სადაც ცა ზღვას დაბჯენია, რაღაც უცნაურ ძალით ნელ-ნელა, თოვლივით თეთრი და ქალწულივით ნაზი ღრუბლები იბადებიან და თითქოს წყალში ჩავარდნისა ეშინიათო, ცის კედელს მიკრობიან. შემდეგ ღინჯი ნაბიჯით იმ მთებისაკენ მიდის და დაქანტულნი, მოსასვენებლათ, ზედ მსუბუქათ სდგებიან. აქ ჩამავალი მზე თავისი სხივებით ეალერსება, ეხვევა გარს შეყვარებულებით; იქ ნელი ნიავი და ხეები და-ძმურათ ერთმანეთს გადახვევიან და საღამის ნაშნათ მდებლათ თავს ზრიან, ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

დათიკო. ამას მეც ვხედავ და ვეგონებ, მაგრამ სად ბუნება, თავისი გუნდით და სად შენი ტანჯვა თავისი შინაარსით! რა აქვთ საერთო ერთმანეთთან?

იოსები. ისა ჩემო კარგო, რომ მეც შენსავით ვგრძნობ ბუნების სიმშვენიერეს და აქ თავდება ჩვენი მსგავსება: მე არ ძალმიძს ბუნებას შეფუერთდე, არა მაქვს ნება ჩემი მახინჯი თავი ბუნების ნაწილათ მივიჩნიო. ამის მიზეზი კი ის არის, რომ იქ სილამაზეა და აქ კი სიმახინჯე. ამ ორი თვისების შეთანხმება, ერთმანეთთან შეგუება კი შეუძლებელია. (შქარეთ) დიან-ჩემო კეთილო! რკინის მუხრუჭებში ვარ მომწყვდეული და თავისუფლათ ვერა ვსუნთქავ. არც ახლა გჯერა? ხომ მარ თალი ვარ? (დათავა ჩაფიქრებულად დგას, იოსები ამქადაისს სხვათ მისჩერებია)

სამსონი. (რაცა ხანა გათავაქვს დაკვრას დაიხრება და ხელსე ავაცემს) რათ მტანჯავ ჩემო სიცოცხლევ? ნუ თუ ამაში ბედნიერებას ჰპოვებ?

ნინო (შეხედავს აღერსანათ და წამოადგება.) ნუ მაჯვერდები ჩემო კარგო! მე თანახმა ვარ? ახლა მამატებ? (გაუწყდას ორავე ხელებს. სამსონი ხარბად დაუწყებს ვაცხას)

დათიკო. (იოსებს, ფიქრის შემდეგ) შენ მართალი ხარ საუბედუროთ!

იოსები. (მსურვალეთ ხელს ჩამართმევს) გამდლობ, გამდლობ, ჩემო დათა! შეიძლება ეს ერთათ ერთი ბედნიერი წამი იყოს ჩემს ტანჯულ ცხოვრებაში. შენში დღეის შემდეგ მეგობარი მეყოლება. კიდევ ვრთხელ გამდლობ!! (მხარულათ) მაშ ასე: დღეიდან მეგობრები ვართ.

დათიკო. (ორავენი შემოდას ოთახში დაზარავთ) დარწმუნებული იყავი, ყოველთვის საიმედო ამხანაგი გეყოლები (დაანახავს სამსონს, რამედაც ხანის ჰკაცნის ხელსე) იოსებ! უყურე?! (სამადას ორავეს) მოგილოცოთ!

სამსონი. (მხარულას სხვათ) გეონი დროა.

დათიკო. წრფელის გულით გილოცავთ ორივეს და მოხარული ვარ (იოსებს და

სამსონს) თქვენთან დამოყვრებისა. (ნინოს) ახლა კი მივიხვდი ქალბატონო, თუ რათ გსურდათ, ასე ჩქარ-ჩქარა აქეთვე წამოსვლა. უნდა გასწყვიტო სულ ყველა ქალები ა? რას იტყვი იოსებ?

იოსებ. მაშინ ხომ სიყვარულიც დაიკარგებოდა? ყოველივე ეს ბუნების კანონია და მე მხოლოდ ის-ღა დამრჩენია— მოვილოცოთ!

სამსონი. ერთს გთხოვთ მხოლოდ: მამაჩემს არაფერი უთხრათ, მას მგონია ვიღაცა ყავდა სახეში ჩემთვის და ახლა ერთბაშათ მინდა გეგმა შეუშალო.

ნინო. არ გრცხვენია რათა ხარ აგეთი ავი?

სამსონი. მე და ავი? აბა როგორ გეკადრებათ ქალბატონო! თქვენ შეურაცყოფას მაცენებთ. (ამ დრეს შიშის კულისებში იფანეს ხმა, ეტყობა გაბრაზებულია)

ივანე. (კულისებში) უთხარი მეეტლეს ცხენებს სყალი დააღვივნოს, ჩქარა, ახლავე მზათ იყოს ყველაფერი.

ბიჭი. (კულისებში) მესმის ბატონო.

სამსონი. მგონია ვერაა გუნებაზე (შემოდის იფანე ფრანკში)

ივანე. თქვენც აქ ბრძანებულხართ? (მიესალმება ნინოს და დათას) ბოდიშს ვინდი, რომ ცოტა ხმამალლა მომიხდა ლაპარაკი, მაგრამ იმედია მაპატიებთ: სასამართლოში ერთი ალიაქოთი გამოვიარე და ვერა ვარ კარგ გუნებაზე.

იოსები. (დინჯად) წააგე?

ივანე. (შიაიხედავს იოსებისკენ, მკვრამ ხმას არ გასცემს) კიდევ უკაცრავად, ცოტა ხანს თავი უნდა დავანებოთ... ჩვეულგბრივი სახე უნდა მივიღო.

იოსები. (ამჟღე მონაში, იფანეს გასვლასთან) იცვლი კი როდისმე?

ივანე. (კადევ არაფერს ეტყვის)

დავითი. ჩვენ ბაღში ჩავალთ და თქვენც იქ მობრძანდით.

ივანე. დიდი სიამოვნებით. (სამსონს) შენ აქ მოითმინე: ცოტა მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს. (ნინოს და დათას) უკაცრავათ! მე ახლავე. (გადის მკარე თას-

ში. დანარჩენნი დერეფნისკენ წაუდგნ, სამსონი მატილაეს).

ივანე

სამსონი. (ნინოს) მეც აღბრუნდით მოგიერთდებით (სამსონის გარდა ყველასი ჩადას ბაღში). შორს ნუ წახვალთ! აგერ იმ ფანჩატურში დასხედით და იქ მომიცადეთ. გესმით!

დათა. გვესმის: ღვთის წყალობით ყურს არ გვაკლია.

სამსონი. მაშ ასე. (გადაჰყურებს ნინოს და კაცხას უკვანის) გენაცვალე! (შემოდის თასში) მამა ჩემო!

ივანე. (თასიდან) ახლავე, მოვიდით! (გამოდის გადაცმული) შენვე რა ჩავიცვამს?

სამსონი. სანადიროთ ვაპირებდი წასვლას. მაგრამ ნინო და დათიკო მოვიდნ და თავი დავანებე. რა გინდოდა გეთქვა? (ჩაჯდება სავარძელში).

ივანე. (ჯერ ხმას არ იღებს და მხოლოდ აჩქარებით დადის თასში. სამსონი კა თავად ადევნებს).

სამსონი. მე არა მცალია მამა! რაშია საქმე?

ივანე. (სიჩუმე) მე მინდა შენი და იოსების ცოლის შერთვა დავაჩქარო. ეს აუცილობლათ საქირია ჩვენი ოჯახისათვის.

სამსონი. კეთილი, მაგრამ როგორ უნდა დააჩქარო?

ივანე. როგორ და ყველაფერი მალე უნდა გადაწყდეს. (შეჩერდება სამსონის წინ) შენ ვიყვარს ვინმე?

სამსონი. (შესვდავს თვალში) მერე რა რომ მიყვარს?

ივანე. (მკვასკო) მიპასუხე მოკლეთ: ჰო, თუ არა?

სამსონი. ჰო!


ივანე. ვინ?

სამსონი. ესეც უნდა გითხრა?

ივანე. ჩქარა! ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს!

სამსონი. ნინო.

ივანე. (მომარდება სამსონს და თაიქმის თავისთვის) კეთილი... მე თანახმა ვარ თუ მოხერხდა. ნინო რას გეუბნება? იმასაც



უყვარხარ? თანახმაა შენი ცოლი გახდეს?

სამსონი. არ ვიცი?!

ივანე. უნდა გავიგოთ. (დაბალის ხმათ) ჩემი საქმე ამ უკანასკნელ დროს ძლიერ ცუდათ მიდის: საქმეები არა მაქვს და შემოსავალი შემცირდა!

სამსონი. ჰააა! მიზეზი?

ივანე. ეს შენი საქმე არაა! (კიდევ დაბალის ხმათ) მე შენი არჩევანი მომწონს. ნინოს მხოლოდ ერთი ძმა ჰყავს და მთელი ქონების ნახევარი დისაა. თუ კი ნინოც დასთანხმდა, ეტყობა ბედი გქონია; თორემ შენი სურვილით სხვა ვინმეს შერთვას ნებას არამც და არამც არ მოგცემდი. მეც ნინო მყავდა მხედველობაში.

სამსონი. თუ კი ვინმე შემიყვარდებოდა, არაფერიც რომ არ ჰქონოდა მაინც შევიერთავდი.

ივანე. (შეკასკად) ვერასოდეს!!

სამსონი. შევიერთავდი მამაჩემო!

ივანე. ვერა შეთქი! (უფრო წყნარად) კმა-რა ამაზე ლაპარაკი. საჩხუბარი არაუფერია: საქმე იქამდე არ მისულა, რომ ჩემი უფლების გამოჩენა დამჭირებოდა.

სამსონი. მით უკეთესი!

ივანე. შენ დღესვე სთხოვ ნინოს ხელს.

სამსონი. დღესვე? ასე ჩქარა რათა?

ივანე. მე ასე მსურს.

სამსონი. არა, არც მე მაქვს საწინააღმდეგო რამე, მაგრამ გვიანაა მამაჩემო. (ვითამ შიწყქნით).

ივანე. (შეშინებული) რაო? გვიანაა?

სამსონი. დიხს! (გახუმდება.)

ივანე. (ან იცის რა ქნას) მაშ... მაშ რა გვეშველება? როდის მოხდა?

სამსონი. დღეს.

ივანე. ვინ არის?

სამსონი. (შეჩერდება) მე! ნინო უკვე ჩემი ცოლია.

ივანე. (გუდამასუფა) შენ როგორც გეტყობა, საკეთილთ არა ხარ ოხუნჯურ გუნებაზე. (დამშვიდადებული) მე სხვა რამე მეგონა. (გაიფლ-გამოაფლას) ესეც ასე. ახლა იოსებზე უნდა მოვილაპარაკოთ.

სამსონი. მე რა შუაში ვარ?

ივანე. რჩევა უნდა მომცე.

სამსონი. სჯობია პირდაპირ მოვლაპარაკო.

ივანე. იოსებს შემდეგ... მე მასთან პირდაპირ ლაპარაკს ვერიდები... ახლა კი ერთი... (შეჩერდება და ჩაფიქრდება თითქმის რაღაც ვერ გადაწყვეტას)

სამსონი. რა გინდა?

ივანე. ანა სად არის?

სამსონი. ევლოსიპედით სასერიწოთ წავიდა.

ივანე. (დადის აჩქარებით) ჰმ! (სამსონს) იცი რა ვითხრა? (შეჩერდება) მაგრამ... (კიდევ ვერ გადაწყვეტას)

სამსონი. გამაგებინე რა გინდა მითხრა?! თითქოს რაღაცას ყოყმანობ: რაშია საქმე?

ივანე. რაშია საქმე? (ჩახეიდება სამსონს თვალებში) ერთი საიდუმლო მაქვს... რომელსაც... მთელი ოცი წელიწადია ვმალოვ.

სამსონი. საიდუმლო? (ავანე თანხმობას ნიშნად თავს დახრის) ოცი წელიწადი?

ივანე. დიხს! ახლა კი... მინდა (კიდევ ყოყმანობს) ახლა კი მინდა შენ ვითხრა... საჭიროა ერთმა მაინც იცოდეს.

სამსონი. (გაკვირებულია სხვათ) სთქვი. მე ყურს გოვდებ.

ივანე. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პატიოსან სიტყვას მომცემ, რომ არავის გაუმხელო!

სამსონი. სხვასაც შეეხება?

ივანე. ყველა ჩვენი ოჯახის წევრებს.

სამსონი. განა სიტყვის ჩამოღობამეფლათ არ შეიძლება!

ივანე. არ შემიძლია: მომეცი პატიოსანი სიტყვა.

სამსონი. (ვერ გადაწყვეტას და ყოყმანობს) კარგი, მომიცია.


ივანე. არავის არ უთხრა არასოდეს!!

სამსონი. მაშ მე რაღათ მეუბნები?

ივანე. მე მარტო მიმძიმს სამსონ! მინდა ერთმა მაინც იცოდეს კიდევ.

სამსონი. კარგი, როგორც გინდა.

ივანე. (შეფთავს ვერ დაუწყებს) შენ იცი



ვინ არის ანა?

სამსონი. ანა! ანა უკანონო...

ივანე. (გააწყვეტინებს) სიცრუეა!!

სამსონი. აკი ასე გვეუბნებოდით ჩვენც და სხვებსაც?!

ივანე. დიახ, მაგრამ სიმართლეს გი-მალავდით.

სამსონი. (გააწყვეტინებს) სიმართლეს გვი-მალავდით?

ივანე. (თავს დაწრას თანხმობას ნიშნად)

სამსონი. მაშ ვინ არის ანა?

ივანე. ანა ერთი ჩემი კარგი, მეგობ-რის ასულია: დედა ადრე მოუყვდა და როცა მამაც კვდებოდა, მიმიხმო და ანას აღზრდა მე მომანდო.

სამსონი. მაშ რათ დაგვირდათ იმის უკანონო შვილათ აღიარება?

ივანე. ახლავე გაიგებ: ბავშვთან ერთად გადმომცა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მცირე არ ყოფილა (სამსონი სიქნათ გადააქცევს). გადმო-მცა აგრეთვე ფულათ ასი ათასი მანეთი... ყველაფერი ეს, მისი ვარდა რაც დაიხარჯებოდა ანას აღზრდის დროს უნდა უკლებლივ მიმეცა მშითვეათ, როცა გათხოვებას მოისურვებდა.

სამსონი. მერე რა უდგას ამას წინ? ანამ ჯერ მოგთხოვა ფული?

ივანე ანამ ამის შესახებ სრულიად არაფერი არ იცის.

სამსონი. (გააკრძალებს სიტყვებს) არა-ფერი არ იცის?

ივანე. სრულიად!

სამსონი. ეს ხომ სულ ერთია შენ მოვალე ხარ დაუბრუნო ანას მისი საკუთარი ქონება.

ივანე. აი სწორეთ... ეს... ეს შეუძლე-ბელია.

სამსონი. როგორ თუ შეუძლებელია?

ივანე. (არ იცის რაგონი მოაქცეს) ანას ქონება... მე მოვიხმარე... მისი ფული... დაიხარჯა...

სამსონი. მობარებული ფული! ანას ფული?

ივანე. დიახ! და ახლა არაფრის მიცე-

მაც არ შემიძლია... (სამსონს სიტყვა ვე-უთქვამს) და ამიტომ, თუ ანა იოსების შვირთე—გავლატაკდებით. მართალია, სამტკიცებელი საბუთი ანას არა აქვს და არც იცის არაფერი, მაგრამ ანდერძის ქალღმერთი შენახულია და შეიძლება გამოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ კი ანასხვას ვინმეს გაყვება ცოლათ.

სამსონი. (ზაზღვით) კმარა მე არ მინდა გავიგონო მეტი არაფერი.

ივანე. მე მინდა სწორედ შენ გაი-გონო...

სამსონი. ეს უსინდისობაა, მძარცვე-ლობაა!

ივანე. (უცეს აქნებებს) ნუ გავიწყდება, რომ მამას ელაპარაკები!

სამსონი. ამ შემთხვევაში მე შენ ისე გელაპარაკები, როგორც კერძო პირს.

ივანე რომელიც მაინც მოითხოვს შენ-გან პატივის ცემას...

სამსონი. დიახ, თუ კი მას იგი დაუმ-სახურებია.

ივანე. კმარა! (განრასყუბდა) მე არ მიყვარს ასეთი ცრუ რაინდობა. შენ გავიწყდება, რომ ამ საქმეში შენც და სხვებ-საც იმდენივე წილი გიდევთ, რამდენიც მე.

სამსონი. უკაცრავათ: არასოდეს უსინ-დისობის თანამოზიარე არ ვყოფილვარ.

ივანე. (მიუხსნობდა სამსონს) ყოფილ-ხარ და ხარ კიდევ; ეს საღამოები, ბა-ლეები, ქეიფი, დროს ტარება; ეს სახლე-ბი, მამული; თქვენი საკვები, ფულები თქვენს ჯიბეში: ეს ყველაფერი სადაურია? შენა გგონია ზეციდან ჩამოვარდა?

სამსონი. განა მე ვიცოდი, რა გზითაც გაქვს ყველაფერი ნაშოვნო? განა რო-დისმე გითქვამს? განა...

ივანე. (გააწყვეტინებს სიტყვას) კმარა! სულ ერთია იცოდი თუ არა. (უყუარებს ერთმანეთს უხმაოდ და თრიალსა ზაზღვით გაშთ-სიტყვას. ამ დროს ბაღში მთავრის მსიარულა სიქნა.)

ნილო. (კუდასიქში) ანა! ანა! აქეთ წა-მოდით, აქეთ...

დათიკო. ჩვენსკენ გამოაქროლეთ... ასე, ყოჩაღ! რა დიდებულათ მოგყავთ. (იჯახე უცებ გატრიალდება და სმსონის მთავრადებს სხსენ)

ანა. (კუდასკეში) გამარჯვებით: რომ მკოდნოდა თქვენ აქ იყავით, უფრო ჩქარა ვივლიდი... მომითმინეთ ცოტა: ახლავე შემოგიერთდებით... ცოტა შევლაშაზდები.

ნინო. (კუდასკეში) ჩქარა მოდი ანა! გიცდით...

ანა. ახლავე.

ივანე. (სმსონის) მაშ არ გინდა დამებმარო?

სამსონი. (ან შეხედავს ივანეს) როგორც გსურს ისე მოიქეცი.

ივანე. ეს არის უკანასკნელი პასუხი?

სამსონი. დიახ! (ამ დროს გამაჩნდება ანა დერეფანში. მხარულათ შემაინტერესნათხში და მარცხნაუ კარებისაკენ მიდის. თან ხელათმასნს აძრბს).

ანა. საღამო მშვიდობის, მამა! სამსონ! თქვენ რათა არა ხართ იმათთან?

ივინე. ცოტა საქმე გვექონდა... ჩვენც ახლავე ჩავალთ.

ანა. (გადას.) მეც ახლავე იქ ვიქნები!!!

ვანე. (სმსონის.) მაშ შენ კონტი არ დასძრა იმაზე რაც აქ გაიგონე. მე თითონ მოუვლი საქმეს. გესმის? (სმსონის ხმას ან აღეს.) დაყრუვდი?

სამსონი. (ურთ) მესმის!!

ივანე. ვახსოვდეს შენი სიტყვა.

სამსონი. (მეტრიალდება და უსმით გაუდერეფანში).

დათიკო. (ბადიდან) სამსონ! ჩქარა, ჩქარა, თორემ უშენოთ ვერა ვართ გუნებაზე. მოდი ერთი სიმღერა შემოგსძახოთ.

სამსონი. აი, მოვდივარ კიდევ. (შაიშალება... ცოტა ხანს შემდეგ მოისმის ხმება: «აქეთ დაჯექ, ანა აქ ჩემთან» და სხ.)

ივანე. ჩქარის ნაბიჯით დადის თათხში და რადიგას ფეჭრბს. სტენსზე სიხუშა, მხლად ბადიდან სიმღერა მოისმის) სჯობია ახლავე მოველაპარაკო. (ჯდება და იცდის გამადის ანა გადარეშად)

ანა. წავიდეთ ძირს.

ივანე. ანა! მოითმინე ცოტა!

ანა. (მაუხლავდება ივანეს მამა?)

ივანე. დაჯექ ახლოს: მე მინდა ერთ სერიოზულ საკითხზე მოველაპარაკო. (ანა ჯდება სავანძელში)

ანა. ახლა. როცა სტუმრებია?

ივანე. ისინი თითქმის ყოველდღე აქ არიან: შინაურები არიან ანა სამსონის ცოლია: დღეს ხელი სთხოვა.

ანა (შისარულათ.) მართლა? ახ რა მიხარია მამა ვერ წარმოიდგენ! უნდა მიველოცო ახლავე! (წამოსტება, მაგრამ ივანე შესჩერებს)

ივანე. მოითმინე; მოასწრებ მილოცვას. ახლა კი ყურა დამიგდე.

ანა. კარგი: მე მზათა ვარ.

ივანე. (ცოტა სიხუშის შემდეგ) რათა ხარ შეილო ამ ბოლო დროებში დაღვრემილი?

ანა. მე არა ვარ დაღვრემილი, მამა ჩემო!

ივანე. იქნება ავათა ხარ, შეილო?

ანა. აბა რამ გაფიქრებია? არც ავათა ვარ და არც დაღვრემილი ვარ.

ივანე. შენ გავიწყლება შეილო და მე კი ხშირათ შემომჩნევია შენთვის. დღეს, მაგალითათ, მხიარული ხარ. მაგრამ გუშინ, იმის წინ.—მოწყენილი იყავი. მე რაღაც ეჭვი მებადება: შენ უმიხეზოთ არ იქნები ასეთ ნაირ მდგომარეობაში.

ანა. გეფიცები, არაფერი მაქვს მოსაწყენი და არცა ვარ.

ივანე. მართალი მითხარი: იქნება რამე გაკლია?

ანა. რა უნდა მაკლდეს! განა მადლობის მეტი რამე მეტქმის?


ივანე. მაშ არაფერი არ გაწუხებს?

ანა. სრულდებით.

ივანე. (კშააკურათ) ა-ა-ა-ა! რა გვიან მივხვდი! ახლა კი მესმის: შენ მართალი ხარ, ჩემო შეილო!

ანა (გაღწნხუდა) რაშია მამა საქმე?

ივანე. მართალი ხარ, ჩემო შეილო:



შენ ახლა ბავშვი აღარა ხარ; დროა იფიქრო იმაზე, რაც აუცილებლათ საჭიროა შენი ხნის ქალისათვის. შეიძლება ანგარიშს ვერ უწევდე, ვერც გრძნობდე, მაგრამ შენ უკვე საკუთარი ცხოვრება, სფეციფიკური მოახოვნებილება გაქვს, საკუთარი ოჯახი გინდა. ყველაფერი ეს მესმის და მიმხედარი ვარ.

ანა. მე კი სრულიად არაფერი არ მესმის და ვერც მიმხედარი ვარ.

ივანე. ესეც ძლიერ ხშირათ მოხდება ხოლმე: ის გრძნობა, ახალი ცხოვრების, საკუთარი ცხოვრების დაწყების სურვილი, სრულიად უცაბედათ, სრულიად მოულოდნელათ იბადება, და თანდათან სწრაფად იზდება. შენ, ჩემო კარგო, არ იყავი მომზადებული და მწუხარებამ, ან უკეთ, გამოურკვეველობამ მომიცვია. ეს ასეა ჩემო კარგო; ყველას ასე ემართება: დროა საქმროზე იფიქრო. (აჟაღებს თაღას გაუყრას).

ანა. ა-ა-ა!! რაშია თურმე საქმე!

ივანე. დიახ სწორეთ ამაშია ჩემო კარგო! ეს არის თავი და ბოლო!

ანა. თუ კი ამაშია საქმე მამაჩემო, უნდა მოგახსენო, რომ მე გათხოვება ჯერ-ჯერობით არ მინდა.

ივანე. ეს კი ქალური მორცხვობაა: საოცარი ხართ ახალგაზდა ქალები, თქვენი პირველი სიტყვა ამ საქმის შესახებ უსათუოთ «არ მინდა გათხოვება» და ამასთანავე კი გული სიხარულით გეგსებათ. ა-ა-ბ! შე ეშმაკო შენა?

ანა. სრულიად სერიოზულად გეუბნები მამაჩემო: მე არ მინდა გათხოვება.

ივანე. (უეუერეს ცატა ხანს უხმით) არ გინდა?

ანა. დიახ! არ მინდა.

ივანე. მიზეზი? იქნება მონასტერში აპირობ მონაზნათ შესვლას?

ანა. არა, მაგრამ ეს კი ასეა: შეიძლება მერე გავყვე ვინმეს, ისიც ჩემის სურვილით და არჩევით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებელს ვათავებ.

ივანე. კეთილი, მაგრამ ხომ იცი, უმაღლეს სასწავლებელში წასვლაა ექვემდებარება ანა. ვიცი!

ივანე. მერე?

ანა. (გაგვარებული სახით) მერე.

ივანე. (უცებ) მერე და მე დახმარება არ შემიძლია. ესეც რომ არ იყოს, რას მოელი ამ უმაღლეს სასწავლებლიდან? შენ ჯერ ჩემი ოჯახის გარეთ არ გიცხოვრია. ქალი ხარ, გამოუცდელი; ცხოვრებას არ იცნობ და არ იცი როგორ შეგეყრება უცხო, გარყვნილი საზოგადოება და ან შენ როგორ შეეგუები ახალ პირობებს. ამაზე ფიქრსაც კი თავი უნდა დაანებო.

ანა. მე არ ვიქნები პირველი და არც უკანასკნელი. იმდენი ძალა შემწევს, რომ შემიძლია გავარჩიო ავი კარგისაგან; იმდენი გამოცდილებაც მაქვს, რომ შევიძლებ ყოველგვარ ცხოვრებას და ყოველნაირ პირობებს თამამათ შეეხვდე: შევიძლებ რაც ჩემთვის საჭიროა გამოვიყენო და რაც არა იმას გვერდი აუქციო. თუ კი მშველელად ჩვეულებისამებრ შენ მეყოლები.


ივანე (თანდათან კამბლას მთამინებიადას, მკვრამ თავს იკავებს) შენი ნებაა. მე კი არ შემიძლია ხარჯი მოგცე.

ანა (შეშისკაული). მამა, ეს რას ნიშნავს?

ივანე. (წამოადგება) ეს იმას ნიშნავს ჩემო კარგო, რომ მე არავითარი სახსარი არა მაქვს, სურვილი აგისრულო. შენ კვიანი ქალი ხარ და უნდა იცოდე შენი მოვალეობა.

ანა. ვიცი: მე ქმარს არ უნდა გავყვე მანამდე, სანამ ვერ შევიძლებ ჩემი შრომით თავი ვირჩინო. მე მგონია ეს არის ჩემი მოვალეობა.

ივანე. მე კი მგონია, შენ ახლავე შეგიძლია შეასრულო ერთი ნახევარი შენი სიტყვებისა და საკუთარი შრომით თავის რჩენაზე ოცნებას თავი დაანებო. ქმარი თითონ იზრუნებს შენზე. ჩემო კარგო: მგონია კარგათ იცი, როგორ უყვარდი



ჩემს მეუღლეს. მეც და ჩემს შეილებსაც: ჩვენს ოჯახში შენ სიხარული, სიცოცხლე შემოიტანე და ამიტომაც, როგორც საკუთარი შვილი ისე მიგიჩნിയეთ. შენი მოშორება, უნდა გამოგიტყდეთ, არა თუ ხანგრძლივიათ, დროებითაც არ შემიძლია და ამიტომაც გადავწყვიტე აქვე გაგათხოვო. დღესვე.

ანა. მამაჩემო! რას მეუბნები?

ივანე. (უყურს არ უცდებს) მართალია შენი საქმრო, რომელიც მე მყავს მხედველობაში. შენთვის მაინცა და მაინც შენსაფერი მეგობარი არ იქნება, მაგრამ.

ანა. (აწყვეტილხერხერს) არ მინდა გავაფარო მამა! გესმის, არ მინდა!

ივანე (განაგრძობს)—მაგრამ იგი ჰკვიანია, საზოგადო მოღვაწეა, მტკიცე ხასიათის პატრონია.

ანა. (გამოდას მათამანკებადს) რას ჩამაცოდის არ ვიცი? აკი გითხარი არ მინდა-შეთქი?

ივანე. (ხმას აუშლავს) ერთის სიტყვით შენც კარგათ იცნობ იოსებს. (უყურებს დაკვირვებით).

ანა. (დაკავალეს და წამოფარდება სესე). იოსებს? ეს...ეს... სმენამ ხომ არ მიღალატა?

ივანე. (გარკვევით და მტკიცეთ) სრულიადაც არა!

ანა. (უკან-უკან ასეებს) ეს შეუძლებელია მამაჩემო! არ მინდა... მე... არ მინდა... არ ვთხოვდები!..

ივანე. (გულგრილვით) ვიცი, ჩემო კარგო, რაც გაშფოთებს, მაგრამ რა ვქნათ: ლამაზიც და მახინჯიც, ორივე ღვთის გაჩენილია.

ანა. (შეშინებულია კადვე ვერ მასუფასვანს) არა, არა, არა! ეს შეუძლებელია! ღმერთო ჩემო!.. იოსების ცოლი... იოსები ჩემი ქმარი... ახ! (აკავალეს) არა, არა მ-მა! ეს... არ შემიძლია! შენ მეხუმრები, მამა, არა?

ივანე. (მრასხანეთ და გულგრილვით) შეიძლება და ასეც უნდა მოხდეს: მე ასე მსურს. ისიც იცოდეთ, რომ მე ხუმრობა

არ მიყვარს.

(ანა. კადვე უფრო უმწეოთ) მამა! ძალათ გინდა გამათხოვო?

ივანე. ყური დამიგდე:

ანა. იოსები მე არ მიყვარს.

ივანე. შეიყვარებ! ეს არათყვარია: ესეც რომ არ იყოს მე უნდა მეც პატივი თუ არა? გაგზარდე ჩემს ოჯახს მოვაყელი და ქალათ გაგხადე... შენ ხომ უკანონო შეილი ხარ? ობოლი, უთვისტომო: არავინ არ გაგაჩნია პატრონი ჩემს გარდა და ჩემი ოჯახის გარეთ.

ანა. (მტკიცეთ) და ამიტომაც გინდა შენს ნებაზე მათამაშო? ამიტომაც გსურს ხელ-ფეხი შემიკრა? რა უყავი სინიდისი და პატიოსნება?

ივანე. (მრასხანეთ) კმარა? (უფრო დაბლა) მოთმინებიდან გამოგყვევარ სულელური ლაპარაკით. მე ისედაც ბევრი მაქვს თავსამტვრევი საკითხი. გიცდი უკანასკნელი პასუხი მომცე. მერე მე ვიცი. (გაჩუქდება და გულზე ხელზე დაწყობილია უცდას).

ანა. (გულგრილვით ხმით) მომეცი ნება წავიდე აქედან, მოვშორდე აქაურობას... შენ ბევრი ნა, ნობეზი გყავს, მიშოვე სადმე მკორე ადგილი და აქედან თუ გინდა გამაგდე. მე არ შემიძლია, მამა, იოსების ცოლობა! გევედრები—გამიშვი?!!!


ივანე. ეს არის შენი უკანასკნელი პასუხი?

ანა. თხენა, მხოლოდ თხოვნა!!

ივანე. და რომ დავსთანხმდე წახვალ?

ანა. (იმედი მოეცემა) წავალ, წავალ, ოლონდ.

ივანე. (განაწყობს) წახვალ? — მიბრძანდით, მიბრძანდით საითკენაც გსურთ. თუ კი იმდენათ უსინიდიო, გაუტანელი და უმადური ხართ, რომ მოხუცი მამის მაგიერ აღამიანის თხოვნა შენთვის უბრალო, ქარის ქოლთა, მიბრძანდით. მაგრამ იცოდეთ არასოდეს უკან არ მოიხედოთ: არ გახედოთ: არ გაბედოთ და არასად არ წამოგცდეთ რომ ჩემს ოჯახში აღიღო ხართ, რომ ჩემს შვილებს იცნობთ.



ანა. მამა!

ივანე. არასოდეს არ ახსენოთ არსად ჩემი სახელი. ვხა მშვიდობისა, ქალბატონო! თქვენ რომ მთხოვდით სადმე უბრალო ადგილის შოვნას, განა უბრალო ადგილი თქვენი შესაფერი იქნება? დარწმუნებული იყავით, სადაც კი გამოჩნდებით ყველგან კარები ფართეთ გაიღებიან და სიამოვნებით დაგიხვდებიან.

ანა. (წაწვევს წინ) მამა! ივანე!

ივანე. იმედი გქონდესთ: თქვენ მალე შეიძლებთ საკუთარი ცხოვრების დაწყებას; ლამაზი ხართ, კონტა, კარგათ მოყვანილი, მკერდი განვითარებული, ბიუსსტი ჩამოსხმული... ვინც გაგიცნობს ყველა მშათ იქნება თქვენი გულისათვის სულიც არ დაიშუროს. ხა! ხა! ხა! ხა!

ანა. (წინ დაგეშული) მამა! რას ამბობ!

ივანე. (განაგრძობს უფრო სსტიკათ და მკაფიათ) დარწმუნებული იყავით, მალე შეიძენთ დიდ ქონებას.

ანა. (მუდარას სმით) დაჩუმდი, დაჩუმდი, ღვთის გულისათვის! შემობრალე, გვედრები მაკმარე.

ივანე. (განაგრძობს) მერე ამ ქონებით შეგიძლიათ უმაღლეს სასწავლებელში წახვიდეთ და საკუთარი შრომით თავი იჩინოთ. ხა! ხა! ხა!

ანა. (სასწავლებელს) ივანე! კმარა.. კმა-ა-რ-ა-ა!.

ივანე. როცა დაბრუნდებით იქიდან და მოხუცებულობაც შემოგებარებთ, გაჰყევით ქმარს და საიდელლო დედა შეიქნებით. ხომ კარგი რჩევაა? ხა! ხა! ხა!

ანა. (მასუსტებულად) გთხოვ... მეტი... არ შემობრალა... მაკმარე... შავ (გულად წაჟვას და სავარძელში ჩასვსვენება).

ივანე. (ირონიით) საბრალო ბავშო! უსუსურო არსება! მე მიწვევ წინააღმდეგობას? ხა! ხა! ხა! მე მივიღებ შენგან თანხმობას, რათაც უნდა დამიჯდეს!; ჯერ გრძნობაზე მოგიყვანო! (ასუფიერებს) ასე! (ანა ხელხელად მადის განს, მაგრამ ტირილი აუყარდება) დამშვიდდით ქალბატონო და როცა იგრნოთ ძალა, როგორც თქვენ-

თვის სჯობდეს ისე მოიქცით. თქვენ ბედი საკუთრივ თქვენს ხელშია: ან ვამდის, ან მშვიდობით. თუ კი ანონ არ გამოიცივლით და იოსების ცოლობაზე უარს იტყვით, გთხოვთ ნახევარ სათში დისტოვოთ ჩემი სახლი (მადის, ანა ვუდრებათ უკან გაუკადება).

ანა. მამა! (ივანე შეხუდდება) თუ კი ცოტაოდენი ჩემი სიყვარული, ან სიბრალული გაქვს, შემობრალე!! ნუ...

ივანე. (გაწვევს) კმარა! მომბეზრდა ამდენი ლაპარაკი. ნახვამდის... ნახევარ საათში გადასწყვიტეთ ყველაფერი... ბალშია. (გატრიალდება და გავა).

ანა. (სასწავლებელს) ან იცის რა ქნას ივანე! მამა! მამა! წავიდა! ღმერთო! სად არის შენი სამართალი? (დაქსობას მაგდასხე და ტირის. საშინელ ტანჯვისგან მოქალა სხეული უცხსცხსებს. გადის რამდენიმე ხანი ანა თანდათან ძღასს მთავრებს და გასწყობდება. სახეზე კადება აწვევით კტება.) მაშ ასე? კარგი! ა-ა-ა-ხ! (უცებ გავა დრეკიანში და აძისებს გადსძისებს) იოსებ! ბატონო იოსებ!

იოსები. (ბაღდას) ანა, თქვენ მეძახით?

ანა. დიახ! გცალიათ?

იოსები. თავისუფალი ვარ...

ანა. მაშ ამოდით აქ რამდენიმე წუთით.

იოსები ახლავე.

ნინო. ანა! რათ ივვიანებ?

ლათიკო. უთქვენობით დიდათ მოვიწყინეთ!

ანა. კიდევ მადროვეთ, რამდენიმე წუთით.


ნინო. მალე, მალე, თორემ ჩვენ მივდივართ!

ანა. ახლავე, ახლავე. (შემოვა სტესზე და თან შემოჟვება იოსებიც).

იოსები. (ხსახუდება თვალქში) ანა! რა დამართიათ? ტიროდით?

ანა. არაფერია: ისე... ცოტათი თავი ამტკივდა. (შირდაშირ და გაბედულად) იოსებ! ახლავე აქ, ორივეს ბედი უნდა გადაწყდეს.

იოსები. ანა! რა კილოთი მელაპარაკ-



კები?

ანა. გთხოვთ ყოველს ჩემ კითხვაზე მიპასუხე მოკლეთ და პირდაპირ.

იოსები. (არ იცის რაგონი მოაქცეს) მე მხოთა ვარ!!

ანა. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) თქვენ არა ფერი იცით!

იოსები. (ვერს მამხუდავს) რის შესახებ?

ანა. ივანეს არაფერი უთქვამს?

იოსები. სრულიად არაფერი!

ანა. არ მატყუებთ?

იოსები. (წყნად) მე არასოდეს არ ვსტყუი. ანა!

ანა. მაშ თქვენ არაფერი გითქვამთ ივანესათვის ჩემს შესახებ?

იოსები. რა უნდა მეთქვა? სრულიად არაფერი!

ანა. არ გითხოვიათ შუამდევლობა ჩემსა და თქვენს შორის?

იოსები. ანა! თქვენი კითხვები ქკუიდან მშლის!! მითხარით გარკვევით!

ანა. გსურდათ მე თქვენი ცოლი გამხდარიყავი და სთხოვეთ ივანეს დავეთანხმები?

იოსები. (უკან დაიწეხს გატყუებული) მე ამაზე ფიქრისაც კი მეშინია, ანა.

ანა. აი, ახლა, ამ, წუთს სწორეთ ამაზე გვექონდა ლაპარაკი.

იოსები. (მწარან დამიღიას) მერე თქვენ რასაკვირველია...

ანა. (დასწრებს) დავსთანხმდი.

იოსები. (მწაბრეთ) დაცინვის ატანა არ შემიძლია ანა, და გთხოვ ნუ დამცინით.

ანა. მე არც მიფიქრია თქვენი დაცინვა: გეუბნებით თანხმობა განვაცხადე.

იოსები. მერე... მერე ეს როგორ მოხდა? თქვენ ხომ იცით...

ანა. მე ყველაფერი ვიცი.

იოსები. ესე იგი?

ანა. ვიცი, რომ მახინჯი ხართ, ვიცი რა აზრისა ხართ საერთოთ სილამაზესა და სიმახინჯეზე, მაგრამ მაინც თანახმა ვარ თქვენი ცოლი გავხდე. იქნება თქვენ არ ვინდათ?

იოსები. მე? მე... (ჩაფიქრდები და იტყუ-

რის ადგილადან) მე? (შეხედავს ანას და შემდეგ ისევ ფიქრის ვერ გადამხედავს) სთქვას, სწორეთ ამ დროს ბაღში დათავა წამოაწყებს სიმღერას)

ანა. ერთის სიტყვით ახლა თქვენზე დამოკიდებული ყველაფერი. მე რაც ვსთქვი, ვსთქვი. გირჩევთ ისარგებლოთ ჩემი წინადადებით: ასეთი შემთხვევა შენისთანებს ორჯერ არ მოველონებათ, ამასთან შეგიძლიათ თქვენი იდეების სინამდვილესაც დარწმუნდეთ. (გადას დატყუანს).

ნინო. (ბადადს) ანა! მალე მალე, მოდი...

ანა. მოვდივარ, მოვდივარ... (მაიმულაბს. იასუბა ისევ ასე უხმოდ დგას და ფიქრის. დათავა მღერის).

იოსები (თავისათვის) თანახმა ჩემი ცოლი გახდეს... მერე? (ჩაფიქრდება).

დათაკო. (მღერის) თუ კი მებრძოლს იდეისთვის

მსხვერპლი მძიმე ენანება. მაშინ გამირთან ერთათ რწმენაც იჩაგრება, იჩრდილება.

იოსები. (ამოკრებს უკანსხუნელ სატყუებს). „მაშინ გამირთან ერთათ რწმენაც, იჩაგრება, იჩრდილება“. (წაიწეხს წინ დატყუანს).

დათაკო (განაგრძობს სიმღერას). ძინისაკენ სწორი გზით სელა

ოხ! რა ძნელი ყოფილა. ხშირათ გამირთა ენერგიაც. შუახედ გაყოფილა.

იოსები. (გამოკრეკავს) რაო? „შუახედ გაყოფილა?“ (ჩაფიქრდება).


დათაკო. (ბადადს) იოსებ! იოსებ! იოსებ! (იასუბა ხმის არ აღქმს) ვა! დაყრუვდა?

ნინო. წადი ნახე! უსათუოთ წამოიყვანე (დათავა გამოიხედავს დატყუანს).

დათაკო. იოსებ! რას აკეთებ აქ?

იოსები. (დათაკოს) არასოდეს დათაკო! (დათაკოს არაფერა არ ესმის). მე მივხედე მიზანს რათაც უნდა დამიჯდეს.

დათაკო. იოსებ! რა იყო? (ამ დროს მარცხენა კარებიდან შემოდის იუნე და მათ-



ჩერდება აისებს.)

იოსები. ანა თანახმაა ჩემი ცოლი გახდეს...

ივანე. შენ თანახმა ხარ?

იოსები (დათავა და აისები ორადეუ მათრიადებთან ივანესკენ.)

ივანე. (უძეობრებს) შენ თანახმა ხარ?

იოსები. (მტკიცეთ და გარკვევით) თანახმა ვარ.

ლთიკო. (არაფეს) გამაგებინეთ რაშია საქმე.

ივანე. იოსები თანახმაა ანა შეირთოს ცოლათ.

ლთიკო. ანა?

ივანე. ანაც თანახმაა.

(ზ ა რ დ ა).

მოქმედება II.

მდიდრულათ მორთული ოთახი ოთხი კართით: ერთი ხალიჩით დაფენილი—ანას საწოლ ოთახში შესასვლელი და მოსხჩანს შიგ პატარა შავიდა და კამოდი. სცენაზე, კუთხეში დგას ორიალი, ანა მოწყენილი ზის სავარძელში და სიერეცეში იყურება. ძიძას ხელში უჭირავს თეთრებში გახვეული ბავშვი და დადის ერთი კუთხიდან მეორეში.

ანა. ბავშვს დაეძინა?

ძიძა ესეც არის ახლა ჩაეძინა.

ანა. დღეს ხომ აბანავე?

ძიძა. დიახ. ქალბატონო! (ზაუსა)

ანა. იოსებმა ინახულა ბავშვი?

ძიძა. მხოლოთ ერთხელ და მაშინაც..

ანა. ჰო! რა იყო „მაშინაც“?

ძიძა. არაფერი, მაგრამ საშინელი საშინელი სახე გაუხდა, როცა ბავშვს დააცქერდა.

ანა. მარტო დღეს შეამჩნიე, თუ ხშირად ემართება ასე?

ძიძა თითქმის ყოველთვის. როცა კი ბავშვს დახედავს ქალბატონო!

ანა. შენთვის არაფერი უთქვამს?

ძიძა. სრულიად არაფერი ქალბატონო, (ზაუსა).

ანა. წაიყვანე ბავშვი და აკვანში ჩააწვინე... დიდის ხნით არ დასტოვო მარ-

ტო იკოდე. თვალ-ყური გეჭიროს.

ძიძა მესმის, ჩემო ქალბატონო (ბავშვთანაო).

ანა. (ზის უხმათ, მარწყენიდა). ა-ა-ხ! როდის მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვას?

(სახეზე ხედავს მთავარებს და ჩაიქრდვას)
ნინოს ხმა. (კუდასეშმა) მომშორდი აქედან!

სამსონის ხმა. (კუდასეშმა) არ მოგშორდები.

ნინოს ხმა. (კუდასეშმა) მაშ არ წამოვალ
სამსონის ხმა. (კუდასეშმა) მოგშორდები, მოგშორდები... ოღონდ წამოსვლაზე უარი არა სთქვა.

ნინოს ხმა. გადი და სთხოვე ანას, თუ სურს წამოვიდეს ჩვენთან... (უტკე) მომშორდი მეთქი!

სამსონის ხმა. (კუდასეშმა) მივდივარ, მივდივარ.

ანა (მწყურხარე ხმათ) ბედნიერი ხალხი. ა-ა-ხ! (გამადის სამსონი მხარედა სხათ)

სამსონი. ანა! შენ არ წამოხვალ სასერინოთ?

ანა. საითკენ?

სამსონი. აი აქვე, ბალში.

ანა. არ შემიძლია რალაც უფუნებოთა ვარ.

სამსონი. ეს იმის ბრალია, რომ სულ ოთახში ხარ ჩამწყვდეული, გარეთ არ გამოდიხარ. უნდა გაისეირნო ცოტა სუფთა ჰაერზე.

ანა. ე-ე-ხ! სად მე და სად სეირნობა!..

სამსონი. მაშ არ წამოხვალ?

ანა. არა.

სამსონი (ხანას) ნინო! ანა არ მოდის!

ნინო (ათახადან) რატომ?

სამსონი. არ შემიძლიაო. (ხანა გამაჩნდება კარებში და ხელთკამხებს ივანეს.)

ანა. ვერა ვარ კარგად გენაცვალე!

სამსონი. მაშ ჩვენ წავიდეთ რალა!

ნინო (ანას) კარგა იქნებოდა. რომ წამოსულიყავი.

ანა. არ შემიძლია ღმერთმანი. მერე დილით სეირნობა მე არ მიყვარს!

ანა. (თვალს გააყოფებს) ბედნიერი ხალ-

ხა! მე კი... ოხ! რა ტანჯვაა, რა ჯოჯობეთია. (მოუკვდებიან როიადს და უკრავს კრთა მუარუზე უფრო მშუხარე მელადიკუს. რამდენიმე ხნის შემდეგ მაისმას კაკუნი) ვინა ხარ?

ლევანის ხმა. შეიძლება?

ანა. (მხანარულათ) შემოდო, შემოდო, ჩემო კარგო. (შემოდის ლევანი) ასე ადრე რამ მოგიყვანა?

ლევანი. (ხელზე კაცხის) შენმა სიყვარულმა, ჩემო მშვენიერო. მარტო ვართ?

ანა. მარტონი ვართ. სამსონს და ნინოს ხომ არ შეხვედრიხარ?

ლევანი. (სხდების) მაშ მარტო ვართ!? (ჩახედავს თავს) ახლა მგონია. თავისუფლათ შემიძლია შენს მშვენიერს თვლებს ვუტყობო; შენი მშვენიერის სახის ყურებით დავსტკბე. (კაცხის) ჩემო სიცოცხლე, ჩემო სულის დგმავე.

ანა. რომ იცოდე ლევან, რა ტანჯვაში ვარ!?

ლევანი. (შაიკავს მკერდზე). არაფერია ჩემო კარგო! ძლიერ მალე გამოიცვლება ყველაფერი.

ანა. ამ ლოდინსაც ბოლო აღარ დაუდგა მე ახლა, ლევან უსაჯეო და უიალქნო, ღვთის ანაბართ, გრიგალში ზღვის ტალღებს შორის, მიტოვებულ ხომალდსა ვგევიარ... თავისუფლება მინდა, თავისუფლება.

ლევანი. ნუ ჩქარობ, ჩემო კარგო! გრიგალი დაწყნარდება, ზვირთებიც თავის პირველყოფილ ფორმას მიიღებენ და ხომალდიც მშვიდობით გადაიჩება...

ანა. ახ! რომ იცოდე, რა მეძნელება ასეთი ორჭოფი პოზიციის დაქერა?

ლევანე. რა ვქნათ, ჩემო კარგო! ყოველთვის სიძნელეთი ყოფილია დაშორებული ადამიანი თავისუფლო ბედნიერ, სასურველ ცხოვრებისა. (ჩახედავს თავს) მარტო ვართ? ჩემო სულის დგმავე. ისე გამოიკვალა შენმა სიყვარულმა, ისე გადავიქმენი, რომ თავს ვერც კი ვცნობ.

ანა. ჩემთვისაც ახლა ერთათ ერთი

ნუგეში, ერთათ ერთი იმედი, ერთათ ერთი სიხარული, შენი სიყვარულია. (კაცხის) ჩემო კარგო, ერთმანეთს. ანა მუხღვიზე დაუკვდებიან და ეკლერსება).

ლევანი. იოსებს ხომ არაფერი შეუშინებია?

ანა. ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ ძლიერ კი გამოიკვალა, ამ უკანასკნელ ხანებში.

ლევანი. თქვენი ასული...

ანა. ოხ! ხომ გინახავს? (ლევანა თავს დახრის თანხმობის ნიშნათ) მამაზე უფრო მახინჯია!!

ლევანი. გიყვ რს?

ანა. არა, არა, მაგრამ მებრალდება. ის ხომ არ არის დამნაშავე, რომ მახინჯათ დაიბადა?


ლევანი. იოსები რას ამბობს? როგორ გძნობს თავს?

ანა. წარმოდგენაც ძნელია როგორ იტანჯება! საოცრათ გამოიკვალა მას შემდეგ, რაც შვილი გვეყოლა. შენ წარმოდგინე ბავშვთან მარტო დარჩენისა ეშინიან, თითქმის შვიდ თვეზე მეტია, რაც მოგოჩი, მაგრამ იოსებს ბავში შვიდჯერაც არ უნახავს. სულ მუდამ დაფიქრებული სულ მუდამ თავჩაღუნული, მოწყენილი დადის და დათიკოს. მეტს, არავის არ ეკარება. როცა იოსები შემოვა ოთხში. ასე მგონია ქერი დაბლა იწვეს, კედლები ვიწროვდებიან და ვამკეპავს მეთქი. მე მეშინია, ლევან?

ლევანი. რისი, ჩემო კარგო? რის უნდა გეშინოდეს?

ანა. ყველაფრის, მეშინია! აწყყოსი მყობადის და წარსული ხომ ისე ვერ მომიგონია რომ მთელს სხეულში ჟრუანტელმა არ დამიაროს როცა მომავლდება რაც გადაშხდომია, როდესაც თვალწინ დამიდგება ის საშინელი დღე, საზარელი ნაბიჯი, რომელმაც იოსების ცოლათ გამხადა, ძარღვებში სისხლი მეყინება, ნაკუწ ნაკუწათ იფლეთება ისედაც სწული გული. ა-ა-ა-ხ! რა საშინელი დღე, რა საშინელი წამი იყო!!

(შემდეგი იქნება).



მოსკოვის ღიღი ცირკი

ტ რ უ ტ ი ს ა

გახოცარი და უძნელესი სხვადასხვა ვარჯიშობა კოროლი და ოდონისა.



ქართული თეატრის რეპერტუარი

კვირას 30 იანვარს,

წარმოდგენილი იქნება ვ. გუგუას



დ ა - მ მ ა

ისტორიული პიესა 5 მოქმ. ადვალტის ფასი დაკლებულია.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს, 2 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს

ვლ. ალექსი-მესხიშვილის

ს ა ბ ე ნ ე თ ი ს ო დ

წარმოდგენილი იქნება ზარგუდა ქართულ სცენაზე. ისტრასკეას



მეფე იოანე მჭისხანა

ვასილისა მელნებივა

ისტორიული დრამა 5 მოქმედ. თარგ. არ. ავალიშვილისა. დასაწყისი სულამის 8 სცენაზე. ადვალტის ფასი სწიქსიულისა.

ყოველ კვირეული ჟურნალი (გამოდის 12 დეკემბრიდან).



ცხოვრება და ხელოვნება



რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ ხელოვანთ თანაშრომის მიღებისათვის. — განყოფილება რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ა.

პუბლიცისტიკა	ფ. კოკიჩაშვილი.	მედიცინა	ვ. დამასაძე.
სიტყვა-კაზმული მწერლობა	შ. ანა-გვიშვილი.	მუსიკა	ზ. ფალაშვილი.
(ბელეტრისტიკა).		დრამა	ვ. შალვაშვილი.
სიტყვა-წყობილი მწერლობა	კ. შაკაშვილი	სასცენო ხელოვნება	ვ. მესხაშვილი.
(პოეზია).		კრიტიკა და ბიბლიოგრაფ.	ა. ვართაგუაძე.
პედაგოგია	აღ. შიდავაძე.	ბუნების მეტყველება	ს. იაშვილი.
მხატვრობა და ქანდაკება	ი. ნიკოლაძე.	მიმოხილვა	ვ. გუგუასა.
ისტორია	ა. ი. ნიკოლაძე.		

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

დამატებაში იბეჭდება „როსტომიანი“ (უარდუსის მწიგნობე) და დრამები.

ხელის მოწერა მიიღება ქართული თეატრის კასაში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

განცხადების ფასი ჟურნალის კაბადონზედ 1 გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკანასკნელზე 15 კ. ტექსტის წინ 15 კ. ტექსტის შემდეგ 10 კ. რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან განცხადებები ორ ფასად.

Адресъ: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядом съ театромъ. Редакция „Цховреба да Хеловнеба“. Тел. № 862, რედაქცია ღიაა 10—2 ს.